# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 აგვისტო, 2009 წელი.

№ 163 (6264)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## გადედლებულმა ოპოზიციამ 7 სააკაშვილს ძალების მოკრების შესაძლებლობა მისცა!

მათქმევინეთ!




## ამირან ბიწაძე – დემოკრატიის მეორე ტალღის მსხვერპლი 10



## მაფიის ხელები ომისშემდგომ ნანგრევებზე 8

## სიცრუის სამეფო



2

## საგადასახადო გილიოტინა — აი, რამ მოკლა ეკონომიკა 4



## საზღვარი, რომელიც აღწერაზე მეტია... 3

ვლადიმერ პუტინი: „აფხაზეთს არ სჭირდება არავითარი სხვა აღიარება, გარდა რუსეთისა“.

## ბედი ქართლისა: 5 განვითარებადი ქვეყანა!



ყურადღება!

## ადვოკატთა საერთაშორისო კავშირის საპროტესტო განცხადება



ადვოკატთა საერთაშორისო კავშირი აცხადებს, რომ პოლიტპატიმარი აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია დაკავებულია ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე — უკანონოდ! ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ და მოვუწოდებთ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, შეწყვიტონ ბატონ ვლადიმერ ვახანიას უკანონო დევნა. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას სრულიად უდანაშაულობის საფუძველზე (სსსსკ. მუხლი 28. პუნქტი „ა“).

## კვირის სარკეში

**ტყუვილი განიყოფების სამად: ცრუობად, ცილად და ჭორად. სიცრუვე არს სრულიად ტყუვილი იყოს; ცილი არს შეწამებული და მსგავსი ტყუვილისა; ხოლო ჭორი არს, რა ჰამბავი გაისმას და ჰამბვისა მიმღები არა საცნაურ იყოს, არცა ვინ ჰამბავი იგი იცოდეს ჭეშმარიტობით სწორედ.**

**სულხან-საბა ორბელიანი,** ***ლექსიკონი ქართული***

# სიცრუის სამეფო

**გასული კვირა, როგორც მისი რევოლუციით ნაშობი 297 ტყუპისცალი, სავსე იყო ძველი, ნაცნობი, მყრალი სიცრუით.**

ხელისუფლების თავხედური სიცრუის ნიმუში გახლდათ „საზოგადოებრივ მაუწყებლად" წოდებული სახელისუფლებო ტელეკომპანიის (ყოფილი I არხის) გენერალური დირექტორის „ასარჩევად" დადგმული სპექტაკლი. ყველამ, ამ კომპანიის კარისკაცის ჩათვლით წინასწარ იცოდა, რომ დირექტორის პოსტს აუცილებლად პრეზიდენტის ფავორიტი, 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში" ღვაწლდადებული „დარდუბალას" ერთ-ერთი შემოქმედი გია ჭანტურია დაიკავებდა.

ისე, ამ მართლაც გამჭვირვალედ ცრუ „არჩევნებისადმი" გულგრილი დამოკიდებულების ახსნა ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილსაც მოუწევს, საკუთარ თავს „ოპოზიციას" რომ უწოდებს. და, საერთოდ, დიდაქტიკური მოძღვრებებით გართულ ქართულ ოპოზიციას თავისი ბევრი უმოქმედობის განმარტება მართებს.

რაც შეეხება I არხის გენერალური დირექტორის საარჩევნო ფარსს, ეს იყო სააკაშვილის ხელისუფლების მორიგი გრანდიოზული შეცდომა. იგი უთუოდ დააჩქარებს ქვეყანაში ახალი რევოლუციური ვითარების მომწიფებას და პოლიტიკურ არენაზე ვინმე დაუნდობელი სტენკა რაზინის გამოჩენას. ხელისუფლების, განსაკუთრებით, პრეზიდენტ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის საყურადღებოდ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: საუბარია არა თანამედროვე, ცივილიზებულ, არამედ შუა საუკუნეებთან გადმოსულ ველურ ოპოზიციაზე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს პაჭანიკების ურდოსავით გადაგვივლის და ქვას ქვაზე არ დატოვებს. მათ შორის, არც ფეშენებელურ საპრეზიდენტო რეზიდენციებს.

დიდი „ტყუვილი" იყო გასულ კვირაში ხელისუფლების მიერ ორგანიზებული „დიალოგი " — ზოგიერთი ოპოზიციური ლიდერების მიწვევა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თვით დიდი ივანე მერაბიშვილიც კი ესწრებოდა.

როგორც ბატონმა ირაკლი ალასანიამ აგვიხსნა, მან, თურმე, ბატონ ივანეს გადასცა მიტინგების დარბევების, ადამიანთა გატაცებების და სასტიკი ანგარიშსწორებების, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებების, კერძო ბიზნესის დაშანტაჟების ამბები.

ბატონი ივანესთვის, ანუ ძალოვანი მინისტრებისთვის ეს, თურმე, ახალი ამბავი ყოფილა. — ასე გვითხრა, ყველაფერს დაწვრილებით შევისწავლი და პასუხს ერთ კვირაში მოგახსენებთო, — გვაუწყა ბატონმა ალასანიამ.

ღმერთმა ნურავის იმედი ნუ მოუშალოს, მაგრამ ჩვენ, უბრალო მოკვდავებს გვეგონა, რომ იმ „ისტორიული დიალოგის" მონაწილე ოპოზიციონერ ლიდერებს

> **ბოლოს და ბოლოს, სად მიდის ლტოლვილების კუთვნილი ასეულობით მილიონი დოლარი, საიდან ფინანსდება გრანდიოზული რეზიდენციების მშენებლობები, საიდან ივსება და რაზე იხარჯება ე. წ. „პრეზიდენტის ფონდი", სად გაქრა პოლიციის სამინისტროში, პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში არსებული საიდუმლო ანგარიშები. რა თანხები იხარჯება, თუნდაც, პრეზიდენტის პირად დაცვაზე და უმაქნის მოგზაურობებზე, მათ შორის ყბადაღებულ „ხალხში გასვლებზე"; როდის და როგორ ვაპირებთ კოლოსალური საგარეო ვალის, 7 მილიარდი დოლარის გადახდას...**

საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე მეტი ინფორმაცია ჰქონდათ. გვეგონა იცოდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შეცდომების, გადაცდომების, თუ დანაშაულების გარკვევა შინაგან საქმეთა მინისტრისთვის კი არა, პროკურატურისთვის, სასამართლოსთვის ან ამ საქმისათვის სპეციალურად შექმნილი საერთაშორისო კომისიისთვის უნდა ეთხოვათ. გვეგონა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემოწმებასაც მოითხოვდნენ: ბოლოს და ბოლოს, სად მიდის ლტოლვილების კუთვნილი ასეულობით მილიონი დოლარი, საიდან ფინანსდება გრანდიოზული რეზიდენციების მშენებლობები, საიდან ივსება და რაზე იხარჯება ე. წ. „პრეზიდენტის ფონდი", სად გაქრა პოლიციის სამინისტროში, პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში არსებული საიდუმლო ანგარიშები. რა თანხები იხარჯება, თუნდაც, პრეზიდენტის პირად დაცვაზე და უმაქნის მოგზაურობებზე, მათ შორის ყბადაღებულ „ხალხში გასვლებზე"; როდის და როგორ ვაპირებთ კოლოსალური საგარეო ვალის, 7 მილიარდი დოლარის გადახდას...

იმის იმედიც გვქონდა, ბატონი ოპოზიციონერები მიხვდებოდნენ, რომ უშიშროების საბჭოს მუშაობაში მოჩვენებითი ჩართვით, ხელისუფლება მათ დისკრედიტაციას და უცხოელი „მეგობრების" თვალში საკუთარი თავის დემოკრატიის მსახურებად წარმოჩენას, მოკლედ, ოპოზიციის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას ლამობდა.



ჩვენ, მშიერ ამომრჩევლებს კიდევ ბევრი რამ გვაფორიაქებს: ხელისუფლების და ოპოზიციის დიდი ნაწილის (ლიდერებს ვგულისხმობ) პოზიციების საეჭვო ერთიანობა ნატოსთან და რუსეთთან ურთიერთობაში, შარშანდელი აგვისტოს ომის შეფასებაში, ამერიკის შეერთებულ შტატებთან დამოკიდებულებაში; გვაფორიაქებს „მუხროვანის აჯანყების" მიჩუმათება, თავდაცვის ფაქტობრივ მინისტრად ავადსახსენებელი ბაჩო ახალაიას მოღვაწეობა, შალვა ნათელაშვილის სოციალისტური იდეებით და ეკა ბესელიას ირაკლი ოქრუაშვილის სახელით ყოყოჩობა. „ზვიადიზმის" ალორძინებისკენ მიმართული ხელისუფლება-ოპოზიციის ერთობლივი ძალისხმევა...

გასულ კვირაში საბოლოოდ გაირკვა, რომ პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ლობირებულმა ტურისტულმა ბიზნესმა საქართველოში საბოლოოდ ჩაილურის წყალი დალია. თუმცა, სასტუმროების მშენებლობა ბათუმში, თიანეთში და მესტიაში გრძელდება. სხვათა შორის, „ხალხში გასვლის" პროგრამით, ჩვენი საქმიანი ჩინოვნიკები გასულ კვირას მესტიას და ხევსურეთს ეწვივნენ. განსაკუთრებით საინტერესო იყო დიკლოელ მეცხვარეებთან ნატოში გაწევრების პერსპექტივებზე საუბარი. აღარაფერს ვამბობ ქართული პოლიტიკის მარად ამომავალი ვარსკვლავის, პეტრე ცისკარიშვილის მესტიაში ვოიაჟზე და სვანური ტყეების გაჩანაგების ახალ პერსპექტივებზე.

ერთი საინტერესო და ძლიერ სამწუხარო ინფორმაციაც — გასული კვირის უცხოური პრესის მონაცემების თანახმად, შარშანდელთან შედარებით უცხოური ინვესტიციები საქართველოში 75 პროცენტით შემცირდა.

გასულ კვირაში გავრცელდა ხმები, რომ თანამდებობიდან გადადგომაზე პატაკი დაწერა თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ, ხოლო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, „კარგი ბიჭი" კობა სუბელიანი ამერიკაში გაიქცა.

კაცმა რომ თქვას, არც ერთის და არც მეორის თანამდებობიდან გადადგომა ქართული პოლიტიკისთვის დიდი დანაკლისი არ იქნება, თუმცა, თუ ეს ასეა, უახლოეს მომავალში ახალ სახელისუფლებო ბაკქანალიას უნდა ველოდეთ.

ვწუხვარ, რომ მწარეზე მწარე სიმართლის აღიარება მიწევს — **დღევანდელი მთელი ქართული საზოგადოება, პრეზიდენტიდან ქუჩის მათხოვრამდე, სიცრუის სამეფოში ცხოვრობს.** ირგვლივ, სანამ თვალი გაწვდება, სიცრუის აშმორებული ჭაობია. ჩვენ, ოდესღაც ღირსეული მოქალაქეები მყრალ „სიცრუეში" ჩაფლულნი, მაინც ამპარტავნულად ყელს ვილერებთ, ვცდილობთ სხვებიც დავარწმუნოთ და თავიც დავირწმუნოთ, რომ ღირსება არ დაგვიკარგავს.

სადღაც, პრეზიდენტსა და მათხოვარს შორის ყველასთან ერთად, მეც ამ ჭაობში ვდგავარ.



**თეიმურაზ ქორიძე**

## ინფორმაცია

### რუსი სამხედროები გათავხედდნენ

**რუსმა სამხედროებმა ოკუპირებულ ზონაში სოფელ ნიქოზის მკვიდრი, 54 წლის ჟორა მინდიაშვილი დააკავეს.**

**ჟორა მინდიაშვილი საკუთარ მინდორში, სარწყავი წყლის გასაშვებად იმყოფებოდა. მასთან რუსი სამხედროები მივიდნენ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოსთხოვეს და აიყვანეს.**

**დაკავების მიზეზად ოკუპანტებმა ე.წ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა დაასახელეს. იგი ცხინვალში გადაიყვანეს დაკავების ადგილზე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.**

### რუსეთი კარგავს ჩრდილოეთ კავკასიას

**ვითარება ჩრდილოეთ კავკასიასი არასოდეს დამშვიდდება. რუსეთი თავად არის დამნაშავე იქ მიმდინარე მოვლენებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისას, ნუთუ არ ესმოდა, რომ ეს მას თავად შეუბრუნდებოდა, — ამის შესახებ აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა ვაფა გულუზადემ განაცხადა.**

**პოლიტოლოგის აზრით, რუსეთი სეპარატიზმის მიმართ მსოფლიოში ყველზე მგრძნობიარე ქვეყანაა.**

**მან ის ტოტი მოჭრა რომელზედაც იჯდა, — განაც-**



**ხადა გულუზადემ. პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ რუსეთს ამჟამად სტალინის მეთოდი — ამ ხალხების დეპორტაციაც არ უშველის.**

**აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ კავკასიაში ტერაქტების შეჩერება ძალზე რთული იქნება.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ანტიდემოკრატიული კანონი



# დავემშვიდობეთ მიტინგებსა და მანიფესტაციებს?..

**საქართველოს კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" შეტანილი ცვლილებები ძალაში 18 აგვისტოდან შედის. ცვლილებებით იკრძალება სახელმწიფო დაწესებულებების ბლოკირება და ტრანსპორტის მოძრაობის განზრახ ხელისშეშლა. შეკრების მონაწილეთა მხრიდან ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სამართალდამცავები უფლებამოსილნი არიან უზრუნველყონ აქციის შეწყვეტა მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოთხოვნას აქციის შეწყვეტის თაობაზე მომიტინგეები არ დაემორჩილებიან.**

**ამასთან ცვლილების მიხედვით, ცენტრალური მაგისტრალების გადაკეტვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქციის გამართვა სხვა მხრივ შეუძლებელი ხდება. საავტომობილო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვისთვის ან ჯგუფური მოძრაობისთვის დაწესებული სანქციის (მძღოლებისთვის 2 წლით მართვის უფლების ჩამორთმევა) დაკისრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტომანქანების მიერ სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი.**

**ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად პოლიციას არალეტალური იარაღის გამოყენების უფლება მიეცა. მმართველი პარტიის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიხედვით პოლიციას დაუკანონდა არალეტალური ტყვიების გამოყენების უფლება ასევე გამკაცრდა ადმინისტრაციული ჯარიმები და გაიზარდა პატიმრობის ვადები.**

**შსს ვალდებულია ერთი თვის ვადაში მოამზადოს ბრძანება არალეტალური იარაღის გამოყენების წესებსა და გარემოებებზე.**

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მთავარი ცვლილება ეხება ადმინისტრაციული სასჯელის — რომელიც რიგ შემთხვევებში 30-დან 90 დღემდე იზრდება — ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, რასაც დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## რეპლიკა

**რუსული საინფორმაციო წყაროების მიხედვით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა რუსეთის ფედერაციაში ფინანსური კრიზისისა და სახსრების უქონლობის გამო 2010 წლის ნაცვლად ორი წლის დაგვიანებით — 2012 წელს ჩატარდება, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში აღწერის ჩასატარებელი სახსრები — 10.0 მილიარდი რუბლი (დაახლოებით 320 მლნ. აშშ დოლარი) ვერ გამოიძებნა.**

# საზღვარი, რომელიც აღწერაზე მეტია...

მოსახლეობის აღწერის დათქმული თარიღის გადატანა ფინანსური პრობლემების გამო საქართველოსთვისაც არაა უცხო — ჩვენთან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველი ეროვნული აღწერა ფინანსების უქონლობის გამო დაგეგმილთან შედარებით სამი წლის დაგვიანებით — 2002 წლის იანვარში ჩატარდა.

მაგრამ, რუსეთში მოსახლეობის აღწერის გადადებაზე ზემოხსენებული ინფორმაციის მთელი „მუღამი" იმაში მდგომარეობს, რომ იგი სოხუმში რუსეთის პრემიერის პუტინის ვიზიტის შესახებ ინფორმაციის პარალელურად გავრცელდა. — ამ უკანასკნელში კი, რუსეთის პრემიერის საპროტოკოლო და ცერემონიალური დატვირთვის შეხვედრების გარდა ისიც ითქვა, რომ **მომავალ წელს ბიუჯეტის „შესავსებად" „დამოუკიდებელ" აფხაზეთს რუსეთი 2.5 მილიარდ რუბლს გამოუყოფს.** უფრო მეტიც, **საზღვრის გასამაგრებლად აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის, აგრეთვე სამხედრო ბაზის მშენებლობაზე ოჩამჩირეში რუსეთი 2010 წელს 16 მილიარდამდე რუბლს(!) დახარჯავს, რაც 6-ჯერ აღემატება აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გამოყოფილ ტრანსფერს.** შემდეგ: **მოსახლეობის ერთ სულზე რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების სიდიდე აფხაზეთში თითქმის 70 პროცენტით უფრო მაღალი იქნება საკუთრივ რუსეთის ფედერაციაზე, ხოლო თუ „სივრცობრივ-გეომეტრიულად" მივუდგებით აღნიშნულ საკითხს, აღმოჩნდება, რომ რუსეთის ფედერაციის ყოველ კვადრატულ კილომეტრზე 4-ჯერ ნაკლები რუსული საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯება, ვიდრე აფხაზეთში.**

აფხაზეთში ნამდვილად არიან მოაზროვნე ადამიანები და, დარწმუნებული ვარ, კარგადაც აცნობიერებდნენ, რასთან აქვთ საქმე. როგორც იტყვიან, „მუქთა ყველი მხოლოდ სათაგურშია". მით უფრო, იმ გამუდმებული სავაჭრო-სატარიფო ომების („გაზის", „რძის" და ა.შ.) ფონზე, რასაც ბოლო წლებში რუსეთი ახორციელებს თავისი „მოძმე" უკრაინისა და ბელორუსის მიმართ.

**ვლადიმერ პუტინი: „აფხაზეთს არ სჭირდება არავითარი სხვა აღიარება, გარდა რუსეთისა".**

ის, რომ ზემოაღნიშნული „ხელგაშლილობის" მიზანი ალტრუიზმი არაა, ამაში ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს. მით უფრო იმ ქვეყნისაგან, რომელმაც ჩეჩნეთის ორი ომის განმავლობაში იმაზე ორჯერ მეტი ჩეჩენი გაწყვიტა, ვიდრე ეთნიკური აფხაზი და ოსი, ერთად აღებული, ცხოვრობს რუსეთის მიერ ცალმხრივად აღიარებულ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებში".

**ამ არნახული ხელგაშლილობის მიზეზი და მიზანი ამ რეგიონების საქართველოსთვის საბოლოო ჩამოცილება და ანექსიაა!** — რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას საკუთარი არშინით ზომავს და ამ უკანასკნელთ იმაზე მეტად „გაფარჩენების" საშუალებას არ აღირსებს, რაც მის ინტერესებში არ შედის. აკი წამოსცდა კიდეც სოხუმში ვიზიტად მყოფ რუსეთის პრემიერს, რომ ***„აფხაზეთს არ სჭირდება არავითარი სხვა აღიარება, გარდა რუსეთისა"***. სრული ანექსიისა და საკუთარ სახელმწიფოში მთლიანი ინკორპორირებისათვის (მილებისთვისძ კი შესაბამისი ნიადაგის მომზადება მიმდინარეობს. ამისათვის დანარჩენ საქართველოსთან **გამაგრებული საზღვარი** — უმთავრესი კომპონენტია, რომელიც რაზივით შეიძლება ჩაკეტო (ენგურზეძ, რათა მერე პარალელურ რეჟიმში სხვაგან — გახსნა (ფსოუზეძ.

ცხადია, ასეთი სტრატეგიული მიზნების განხორციელებისას მოსახლეობის აღწერის გადავადება რა სალაპარაკოა?! — **მოსახლეობის აღწერა რუსეთში მოიცდის!** თანაც, რაც მეტი დრო გავა, მით ნაკლები ხალხი იქნება აღსაწერი. — **ბოლო წლებში რუსეთის მოსახლეობის საშუალო წლიური კლება ხომ თითქმის ოთხჯერ აღემატება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა საერთო რიცხოვნობას.**

ამასთან, რუსეთს აქვს რეალური მიზეზები მოსახლეობის აღწერისაგან თავის შესაკავებლად. — მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ 2011 წელს ახალი საპარლამენტო არჩევნებია მოსალოდნელი და ამ ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფ ტანდემს, ვფიქრობ, არ უნდა, აღწერამ ბოლო პერიოდში გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა და გაზრდილი უმუშევრობა, მით უფრო, კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება დააფიქსიროს.

და ბოლოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის დახმარებებისა და სამხედრო მშენებლობისათვის გამოყოფილი უზარმაზარი თანხებიდან (ისევე როგორც მანამდე — ჩეჩნეთშიძ მნიშვნელოვანი ნაწილი „ოტკატების" სახით, სავარაუდოდ, ისევ რუს ჩინოვნიკებს დაუბრუნდება, რაც წარმოუდგენელი და შეუძლებელია მოსახლეობის აღწერების ჩატარებისას. — სხვათა შორის, **2010 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის „დახმარებისათვის" გამოყოფილი თანხა მთელი რუსეთის მოსახლეობის აღწერას, „დერჟავნიკებით" დაწყებული და „ბოევიკებით" დამთავრებული, ბარე სამჯერ ეყოფოდა...**




პუტინის სოხუმში ვიზიტს ჰქონდა ერთი საგულისხმო დეტალი. სოხუმში ვიზიტისას ახლა უკვე პრემიერის რანგში მყოფ რუსეთის ყოფილ პრეზიდენტს ომის დროს რუსული არტილერიით დანგრეულ ახალგარემონტებულ სამშობიარო სახლში მოუწია მისვლა. არა მგონია, ადგილობრივი ახალშობილების ხილვისას მას გახსენებოდა ის ორი ათასამდე ქართველი ბავშვი, რომლებიც 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე ომის დროს საკუთარ სამშობლოში, აფხაზეთში, მათ შორის სოხუმის სამშობიარო სახლში დაიბადნენ, ან ის სამასზე მეტი ბავშვი, რომლებიც ბესლანში მისი ხისტი პოლიტიკისა და ქმედებების შედეგად დაიღუპნენ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ არ დავიწყნია 2006 წელს სანკტ-პეტერბურგში პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტისა და ქართველი ჟურნალისტების თანდასწრებით საკუთარი ნათქვამი, რომ *სოჭიდან საზღვრის სიახლოვის გამო საქართველოში ფეხითაც შეიძლება ჩასვლა...* უფრო მეტიც, მჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც ამის ხმამაღალი აღიარება მას კიდევ ერთხელ მოუწევს...

**იოსებ არჩვაძე.**
2009 წლის 14 აგვისტო

## ხელოვნის აზრით



***საზოგადოებაში საპროტესტო მუხტის შესაძლო ჩაქრობასა და ოპოზიციის დასუსტებაზე ბოლო დროს ხშირად საუბრობენ. განხილვის და აჟიოტაჟის საგანი გახდა ასევე, ოპოზიციის ნაწილის ძალოვან მინისტრებთან შეხვედრაც, რის გამოც, საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ოპოზიცია ორად გაიყო. აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისადმი გულგრილი დამოკიდებულება არც საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს გამოუჩენიათ. ზოგიერთი მათგანი ოპოზიციას მეტი ორგანიზებულობისა და ერთიანობისკენაც მოუწოდებდა. თუ როგორ აფასებენ ამჟამად ოპოზიციაში არსებულ ვითარებას, ამ საკითხზე „მედიანიუსი" რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძეს ესაუბრა.***

# გიგა ლორთქიფანიძე: შემოდგომაზე საპროტესტო მუხტი ისევ იფეთქებს

**— ბატონო გიგა, როგორ ფიქრობთ, პოლიტიკურად ცხელი გაზაფხულის შემდეგ, ოპოზიციამ შეინარჩუნა თუ არა მოსახლეობის ნდობა და შემოდგომაზე საპროტესტო აქციების განახლება რამდენად მოსალოდნელია?**

— ოპოზიციის მიმართ მოსახლეობის ნდობამ მართლაც ძალიან იკლო, რადგან ხანგრძლივმა საპროტესტო აქციებმა შესაბამისი შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ შემოდგომაზე საპროტესტო აქციები აუცილებლად განახლდება, ამის მოლოდინის საფუძველს მოსახლეობაში არსებული პროტესტი მაძლევს, რომელიც აუცილებლად იფეთქებს.

**— საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ოპოზიცია ორად გაიყო. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— ოპოზიციის გაყოფა ძალიან არასასიამოვნო ამბავია და მოსალოდნელიც იყო, რომ ასე მოხდებოდა. ეს ბუნებრივი პროცესიცაა. რაღაც უნდა დაზუსტდეს, რაღაც უნდა გამოიკვეთოს და ამაში ისეთი გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია.

**— თქვენი აზრით, ხალხის ნდობა რომელ ოპოზიციურ ძალას და ლიდერს უფრო შემორჩა?**

— ამ ეტაპზე ყველაზე უფრო სახალხო განწყობას გამოხატავს გაჩეჩილაძის მიერ დაარსებული ახალი ორგანიზაცია „დაიცავი საქართველო". ასევე მნიშვნელოვანი და კარგი გაერთიანებაა ალასანიას გაერთიანებაც. რაც შეეხება ალასანიას, მე მას რამდენჯერმე შევხვდი და ჩემზე ყოველთვის ტოვებს ძალიან წესიერი და პატიოსანი ადამიანის შთაბეჭდილებას. ღმერთმა ქნას, რომ მისი პოზიცია ბოლომდე პრინციპული იყოს.

**— ოპოზიციის ნაწილისა და ხელისუფლების მიერ ბოლო დროს გამართულ შეხვედრებს როგორ აფასებთ?**

— არშეხვედრაც სიკეთეს არ მოიტანს. რა თქმა უნდა, საჭიროა საუბარიც, შეხვედრებიც, ურთიერთკომპრომისებზე წასვლაც, რომ რაიმე საკითხი გადაწყდეს. მუდმივად გაბუტულ პოზიციაში ყოფნა არაფერს მოგვიტანს. მე, მაგალითად, ვთვლი, რომ ალასანია გონიერი და საინტერესო კაცია და იცის, რასაც აკეთებს. ამიტომ ეს შეხვედრები გამართლებულად მიმაჩნია.

## ინფორმაცია

### ავღანეთში ამერიკელები უიარაღოდ გვაგზავნიან

**აშშ ქართველი სამხედროების ავღანეთში გასამგზავრებლად დაგეგმილი წვრთნების ფარგლებში საქართველოს რაიმე შეიარაღებას არ გადასცემს. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა.**

**ჯალაღანიას თქმით, ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ სამხედრო შენაერთებს გაზაფხულზე ავღანეთში გასამგზავრებლად მოამზადებენ.**

**— ამერიკელი სამხედროები მოამზადებენ ქართულ სამხედრო შენაერთებს ავღანეთში, მშვიდობიანი უსაფრთხოების მისიაში მონაწილეობისათვის. ეს ითვალისწინებს ავღანეთის ფეთქებადსაშიში სიტუაციების მიმართ ჩვენი ჯარის მომზადებას. მომავალი წლის გაზაფხულიდან ჩვენი სამხედრო შენაერთები გაემგზავრებიან ავღანეთში. ეს არის საქართველოს პოლიტიკის ნაწილი, როდესაც საქართველო გამოდის არა მარტო საერთაშორისო უსაფრთხოების მიმღები ქვეყანა, არამედ მას თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ამ წვრთნების ფარგლებში საქართველოს აშშ-დან იარაღი არ გადაეცემა, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვაი მთავრობისგან

# საგადასახადო გილიოტინა - აი, რამ მოკლა ეკონომიკა




## იმედია, ნოდარ ჯავახიშვილი უპასუხოდ არ დატოვებს აქ გამოთქმულ ბრალდებას

***რა პავლე-სავლეობაზეა ლაპარაკი ამ წერილში, ამას ქვემოთ, საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავკაც ანზორ საკანდელიძესთან საუბრისას ვნახავთ, მანამდე კი ორიოდე სიტყვით გვინდა შევახსენოთ მკითხველს იმ განუკითხაობის შესახებ, რაშიც ხელისუფლებამ თავისი უგუნური პოლიტიკით ქვეყნის მეწარმეობა და ბიზნესი მოაქცია. საუბარია იმაზე, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში მთავრობამ ქამრების შემოჭერა ბრძანა, მაგრამ რეალურად ქამრები თავად კი არა, ბიზნესს შემოუჭირა. იმის მაგივრად, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა და გადასახადების შემცირებით მეწარმეობისა თუ ბიზნესმენებისთვის საგადასახადო ტვირთი შეემსუბუქებინა, ხელისუფლება თავის ატკიებას მოერიდა და შემცირებული საბიუჯეტო შემოსავლების კომპენსაციას ბიზნესის თავზე რეკეტისა და ჯარიმა-საურავების დატრიალებით შეეცადა.***

**— ბატონო ანზორ, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების ასეთ პოლიტიკას რა შედეგი მოჰყვება?**

— შედეგზე რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოში ისედაც მიწასთან გასწორებული მეწარმეობა და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკა რომ მთლიანად ნულზე დაჯდება, ამას დიდი წინასწარმეტყველება არ სჭირდება. ათასჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ყველა განვითარებულ ქვეყანაში საბიუჯეტო შემოსავლების 90 პროცენტს (თუ მეტსაც არა) მცირე და საშუალო ბიზნესი იძლევა. მაგრამ ეს ხდება მაშინ, როცა მას არსებული საკანონმდებლო ბაზით და ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკით, მუშაობის ნორმალურ პირობებს უქმნიან. ჩვენთან საწინააღმდეგოს აკეთებენ, ახლაც კი, როცა ეკონომიკური კრიზისი მთელ მსოფლიოში მძვინვარებს, მეწარმეებს, სადასახადო ტვირთის შემსუბუქების ნაცვლად ახრჩობენ. თუმცა, ვერ დავმალავ, მეწარმეობა, კერძოდ, მცირე მეწარმეობა აქამდეც მოხრჩობილი ჰყავდათ, ის დღეს საქართველოში პრაქტიკულად აღარ არსებობს.

**— თქვენი პოზიცია გასაგებია, ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა მართლაც კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ამ უმაქნისი მთავრობიდან კონკრეტულად ვის ადანაშაულებთ?**

— ჩვენი „ეკონომიკის მამად“ აღიარებულ ნამინისტრალ კახა ბენდუქიძეს და მის მეწყვილე პრემიერყოფილ ზურაბ ნოღაიდელს ამ საქმეში ბადალი არ მოეპოვებათ. პირადად ხელმეორედ გაპოლიტიკოსებული ნოღაიდელის კისერზეა უამრავი საკანონმდებლო აქტი და დოკუმენტი, რომელთა აღსრულებით საქართველოში მცირე მეწარმეობა და შესაბამისად ეკონომიკაც აღესრულა. აღარაფერს ვამბობ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის „წვლილზე“, რაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტყოფილმა ნოდარ ჯავახიშვილმა ამას წინათ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში გაიხსენა.

**— მაინც რა გაიხსენა, ხომ არ გვეტყოდით?**

— აბა მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მხრიდან სასიკეთოს რას გაიხსენებდა. მათი საქმიანობა (თუ ამას საქმიანობას დავარქმევთ) მკაცრად გააკრიტიკა, რაც მისასალმებელია, მაგრამ კარგი იქნებოდა ბატონ ნოდარს ეს გაეკეთებინა მაშინ, როცა ის შევარდნაძის მთავრობის წევრი იყო, ან ბოლო 14 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ამოეღო ხმა ჩვენს დასაცავად, როცა გოგი თოფაძის თავკაცობით ხმალამოღებული ვიბრძოდით სავალუტო ფონდის საქართველოში განუკითხავ კორუფციულ თარეშსა და მბრძანებლობას.

**— ვითომ მაშინ თანამდებობის დაკარგვისა შეეშინდა?**

— აბა რა გითხრათ. აი, დღევანდელი ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს ურუსმაგ ქარქუსოვს, მაგალითად არ მოერიდა და ამერიკული „დახმარების“ ზოგი რამ „საიდუმლო“ გაგვანდო. როცა დავინტერესდი მისი ნათქვამით და აშშ-ის ეროვნული განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოში განხორციელებული პროგრამები გავაანალიზე, შოკირებული დავრჩი. ისეა შედგენილი ეს პროგრამები, რომ მათი რეალიზება არც ერთი ლარის უკუგებას არ იძლევა(!). ანალოგიურია მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მიერ გაცემული უზარმაზარი გრანტებისა და კრედიტების „ათვისების“ შედეგებიც.

***საქართველოში ყველამ შესანიშნავად იცის, რომ თუ შევარდნაძის დროს სახელმწიფო ფულს ბიუჯეტში შეტანამდე იპარავდნენ, ახლა ბიუჯეტში შეტანის შემდეგ იპარავენ. ინდიკატორი იმისა, რომ ეს ასე ხდება, არის ხალხის დუხჭირი სოციალური მდგომარეობა, რომელიც ბიუჯეტის 100-პროცენტიანი ზრდის პირობებში 10 პროცენტითაც კი არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გაუარესდა კიდეც.***

სხვათა შორის, ბატონმა ურუსმაგმა ერთი სენსაციური ცნობაც მოგვაწოდა: დასახელებულ ***ამერიკულ სააგენტოს 2006 წელს საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის უნდა გამოეყო 140 მილიონი დოლარი, მაგრამ, როგორც გავარკვიე, ამ თანხას მეწარმეებამდე არ მიუღწევია, ისევე როგორც 1998-2001 წლებში მცირე მეწარმეებისთვის საზღვარგარეთიდან შემოსულმა 120 მილიონმა დოლარმა ვერ მიაღწია ადრესატამდე და გზაშივე „ააორთქლა“ დღეს ინტერპოლის მიერ ძებნილმა თემურ ბასილიამ, რომელიც ამას წინათ ამერიკაში მყოფი ქართველი ჟურნალისტებისგან თავის დასცავად თავის „მძებნელ“ პოლიციას მობილურით „გამალებით“ უხმობდა. აი, რა დონეზე იცავენ ამერიკაშიც კი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ შინაურ მკვლელს მისი ყოფილი ოკეანისგაღმელი კორუფციული პარტნიორები(!).***

**— და ეს ყველაფერი, ბატონო ანზორ, გგონიათ, რომ ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა არ იცის?**

— მეც ეგ არ მაკვირვებს? დღეს ბატონი ნოდარი, როგორც ვთქვი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის „შესამკობად“ ეპითეტებს არ იშურებს, ამ ნახევარი წლის წინათ კი იგი სავსებით სერიოზულად და გულანთებულად მიმტკიცებდა, რომ იმავე სავალუტო ფონდმა საქართველოს ეკონომიკა ააყვავაო(?!). იქნებ, თქვენ მაინც ამიხსნათ, რანაირად შეიძლება ასეთ მოკლე პერიოდში პავლე სავლედ გადაიქცეს? და საერთოდ, დროა, საქართველოში პავლე-სავლეობა დამთავრდეს!

ჩემთან საუბარში ნოდარ ჯავახიშვილმა არ დამალა და ისიც კი მითხრა, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი, როცა შევარდნაძემ თოფაძის ზეწოლით დღგ გაანახევრა და 16 პროცენტი გახადაო. პირდაპირ ვეუბნებოდი პრეზიდენტს, არ დაუჯეროს თოფაძეს, თორემ ეს დაანგრევს ბიუჯეტსო. როგორც ჩანს, ბატონმა ნოდარმა მანამდე არ მოისვენა, ვიდრე შევარდნაძეს დღგ 20 პროცენტამდე არ გააზრდევინა. თავის დროზე სწორედ ამან შეუწყო ხელი იმის დამკვიდრებას, რომ დღეს ჩვენი სანაძებო ბიუჯეტის 2,4 მილიარდი ლარი, ანუ მთლიანი საბიუჯეტო შემოსვლების 35 პროცენტი დღგ-ზე „ზის“.

**— იქნებ გაშიფროთ, პრაქტიკულად ეს რას ნიშნავს?**

— მარტივი, გასაგები ენით ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ავალდებულებს მეწარმეებს, დააყაჩაღონ გადახდისუუნარო, გაუბედურებული და გამათხოვრებული მოსახლეობა, ამოუტრიალონ ჯიბეები, ერთი წლის განმავლობაში მათგან დამატებით ამოიღონ 2,4 მილიარდი ლარი და ეს ფული ლანგრით მიართვან სიმსუნაგისგან თვალებდაცეცებულ ხელისუფლებას. ამ უკანასკნელს თუ სურს მსოფლიოს ფეხი აუწყოს, დროებით მაინც, სანამ ამ უმძიმესი კრიზისიდან გამოვალთ, ანგარიში უნდა გაუწიონ გაძვალტყავებულ მოსახლეობას, გაჩანაგებულ მეწარმეობას და ბიზნესი დღგ-სგან გაათავისუფლოს. ამით ერთდროულად უამრავი კეთილი საქმე გაკეთდება: 18 პროცენტით გაიაფდება ყოველგვარი მომსახურება და კომუნალური გადასახადი (დენი, გაზი, წყალი და სხვ.), ყოველგვარი ადგილობრივი ნაწარმი, აღორძინდება ეროვნული მეწარმეობა, შეიქმნება ათეულ ათასობით სამუშაო ადგილი, შეჩერდება ინფლაციური პროცესი.

**— კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ, ხელისუფლება ამ დათმობაზე წავიდა, მაშინ ხომ დაინგრევა ბიუჯეტი (35-პროცენტიანი სეკვესტრი არ ასცდება), დაზარალდება ხალხი — გაუცემელი ხელფასებითა და პენსიებით.**

— არა, ხალხი კი არა, ხელისუფლება დაზარალდება(!). არის დიდი ეჭვები, რომ დღეს დაახლოებით იმ 2,4 მილიარდ ლარს, რომელიც სეკვესტრში მოყვება, სწორედ ხელისუფლება იპარავს ბიუჯეტიდან. ***საქართველოში ყველამ შესანიშნავად იცის, რომ თუ შევარდნაძის დროს სახელმწიფო ფულს ბიუჯეტში შეტანამდე იპარავდნენ, ახლა ბიუჯეტში შეტანის შემდეგ იპარავენ. ინდიკატორი იმისა, რომ ეს ასე ხდება, არის ხალხის დუხჭირი სოციალური მდგომარეობა, რომელიც ბიუჯეტის 100-პროცენტიანი ზრდის პირობებში 10 პროცენტითაც კი არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გაუარესდა კიდეც.***

ბუნებრივად იბადება კითხვა: სად მიდის ეს უზარმაზარი ფული? დღეს მას მოიხმარს (უფრო სწორად, იპარავს) ქვეყნის მოსახლეობის 1 პროცენტზე ნაკლები, დღგ-ს გაუქმების შემთხვევაში კი აღდგება სოციალური სამართლიანობა და ეს თანხა (2,4 მილიარდი ლარი) გადანაწილდება მთელ მოსახლეობაზე. ასე არა სჯობს?

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი**

დღის ალიან-ჩალიანი

### ბერლინის კედლის ანალოგი - აფხაზური კედელი გალში

**საქართველოს** საგარეო საქმეთა სამინისტრო გალის ადმინისტრაციულ საზღვართან აფხაზური მხრიდან კედლის მშენებლობას რუსული ოკუპაციის გამოვლინებად აფასებს.

როგორც ორშაბათს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ გადაცხადა, რუსი ოკუპანტები 21-ე საუკუნეში საქართველოსა და აფხაზეთს შორის გამყოფ კედელს აგებენ.

21-ე საუკუნეში შენდება გამყოფი კედელი აფხაზებსა და ქართველებს შორის. ეს, რა თქმა უნდა, არის ყოვლად დაუშვებელი. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთს ოკუპირებული ტერიტორიები სჭირდება საკუთარი სამხედრო ბაზების განთავსებისა და სამხედრო პლაცდარმის წარმოების ადგილად და არა სოციალური თუ ეკონომიკური განვითარებისათვის, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

### ...გტოვებ, ნახვამდის...

**საქართველოს** დსთ-დან გამოსვლის შემდეგ გაგრძელდება ყველა ხელშეკრულება, რომელიც დსთ-ს ფარგლებშია გაფორმებული. ამის შესახებ გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.



ჯალაღანიას თქმით, საქართველო დსთ-ს დღეს ოფიციალურად დატოვებს, თუმცა მინისტრის მოადგილის განცხადებით, გაგრძელდება ის კეთილმეზობლური ურთიერთობები, რომელიც საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან აკავშირებს.

— 18 აგვისტოს სრულდება ყველა ფორმალური პროცედურა და საქართველო დსთ-ს ოფიციალურად დატოვებს. ვენის 69-ე კონვენციის თანახმად, საქართველო მონაწილეობს ყველა ხელშეკრულებაში, რომელიც დსთ-ს ფარგლებში იქნა გაფორმებული. საქართველოს ხელისუფლება ასევე მზად არის, გააგრძელოს ის კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელიც საქართველოს დსთ-ს წევრ ქვეყნებთან აკავშირებს, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ვაი ჩვენს პატრონს

# ბედი ქართლისა: განვითარებადი ქვეყანა!

**მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა ჩვენს თავზე და ბოლოს განვითარებადი ქვეყნის დონეზე დავედით. ეტყობა, „ქართლის ცხოვრებაც“ ამით დასრულდება.**

ქვეყნის ეკონომიკა ისე გავანადგურეთ, რომ მათხოვარი, სხვათა ხელის შემყურე უბადრუკი ქვეყანა გავხდით და თავის მოსაწონებლად აღარაფერი დაგვრჩენია ღვთითბოძებული ბუნების გარდა. განათლებას, კულტურასა და მეცნიერებას მთლიანად ვანადგურებთ და მხოლოდ გადამთიელი ტურისტების მომსახურებით გვინდა თავი ვირჩინოთ.

არ არსებობს საქართველოს ისტორიაში უფრო დიდი ღალატი, ვიდრე მეოცე საუკუნის მიწურულს „განვითარებადი ქვეყნის სტატუსის“ მიღება იყო. ეს დანაშაული დიდ დაღს დააჩენს და ის საბედისწერო იქნება საქართველოსთვის.

რატომ ეგონათ ქართველებს, რომ შევარდნაძის ეს გადაწყვეტილება მის ქვეყანას გადაარჩენდა? რატომ მოტყუვდა ერი, რომლის ნაწილი ოვაციებით შეხვდა უფასო პურს, ჰუმანიტარულ დახმარებებს და დაბალპროცენტიან სესხებს?

სად გაქრა ეს დახმარებები, გრანტები და სესხები? ვის ჯიბეში აღმოჩნდა ამ გრანტების უდიდესი ნაწილი და რა კაბალური ვალის ორმოში ჩავარდა მთელი საქართველო?

მოსახლეობის ანაბრები რომ მიითვისა, ხელისუფლებას ეს ეცოტავა და ქვეყნის ვალი ჩაიჯიბა. ზოგი მილიონერი კი არა, მილიარდერიც კი გახდა, სხვათა გაღატაკების, გამათხოვრების ხარჯზე. თუმცა, მილიარდები კარგა ხანია საზღვარგარეთის ბანკებშია გადამალული.

რა საფასური გადავიხადეთ განვითარებადი ქვეყნის სტატუსით მიღებულ გრანტებსა და სესხებში?

ამერიკის საელჩოს ატაშეს, ბატონ ჰაჩისონის სიტყვები მახსენდება, ჩემთან პირადი შეხვედრის დროს რომ ბრძანა: **„თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა უზრუნველყოს!“**

— „ნუთუ ჩვენ არც მეცნიერი, ინჟინერი ან ექიმი გვჭირდება? როგორ უნდა ვუმკურნალოთ ავადმყოფებს?“

— „როგორ შეიძლება თქვენთან ექიმები, სერიოზული ოპერაციები? თქვენთან მხოლოდ აცრები უნდა ჩატარდეს ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად. ავადმყოფები კი ჩვენთან ჩამოვლენ, ან ექიმებს ჩვენ გამოგიგზავნით“ — იყო დამრიგებლური პასუხი კაცისა, რომელსაც განათლების ერთი პროექტის დაფინანსებაში დახმარება ვთხოვე. თურმე ჩვენ მხოლოდ იურისტებისა და მენეჯერების გამოზრდა გვჭირდება და ამაში აღგვითქვა დახმარება. აღგვიზარდეს კიდეც, სასამართლო რეფორმაც ჩაგვიტარეს და მათი ერთ-ერთი აღზრდილი პრეზიდენტადაც მოგვევლინა.

არ მეგონა, თუ ამ ატაშეს მოძღვრებას ასეთი დიდი ძალა ექნებოდა ჩვენს ხელისუფლებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ მსოფლიო ბანკისა თუ სავალუტო ფონდის სავალდებულო მოთხოვნა იყო. დრომ აჩვენა, რომ თუ გსურს გრანტებისა და დახმარებების მიღება, ისე, იმ კანონებით უნდა იცხოვრო, როგორც განვითარებად ქვეყანას შეეფერება. სწორედ ამიტომ ვერ აიკრძალა ქვეყნიდან ჯართისა და ხე-ტყის გატანა. განვითარებად ქვეყანას თურმე არც ჯართის გადამუშავება შეუძლია და არც ავეჯის კეთება. მან მხოლოდ საკუთარი წიაღისეული უნდა გაიტანოს განვითარებულ ქვეყნებში და თუ შესძლებს, ჩამოსულ უცხოელებს ფეხქვეშ უნდა გაეგოს, მოელაქუცოს და მოემსახუროს. მათი მოთხოვნები კი, ცხადია, უსიტყვოდ უნდა შესრულდეს, თორემ ბოლო ლუკმასაც წაგართმევენ და შიმშილით ამოგხოცავენ.

**სწორედ შიმშილით სიკვდილის შიშმა განდევნა საქართველოდან მილიონზე მეტი ქართველი.** შემზარავია, როდესაც იგებ, რომ პორტუგალიაში ქართველი ინჟინერი ისეთ შავ სამუშაოს ასრულებს, რომლის შესრულებაზე ნიგერიიდან ჩამოსული ზანგები უარს ამბობენ.

აქ დარჩენილებს კი მხოლოდ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესრულება გვევალება.

> ***არსებობს ერთადერთი გზა: ხელისუფლებას უარი უნდა ვათქმევინოთ განვითარებადი ქვეყნის სტატუსზე და მათ, ვინც ამ სტატუსით თუ ხალხის გაქურდვით მილიარდები დააგროვეს, გადავახდევინოთ საქართველოს ყველა გარე და შიდა ვალი და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მივცეთ ხალხის გაქურდვისათვის.***

კარგად მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც პარლამენტის სპიკერმა რომელიღაცა კანონი განსახილველად შემოიტანა, დარბაზიდან ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა: „ამ კანონის განხილვა დღეს არ შეგვიძლია, რადგან ამერიკელი ექსპერტების დასკვნა ჯერ არ მიგვიღია!“

ამაზრზენი იყო ეს განცხადება: თურმე შენი ყველა კანონი უცხოელთა ექსპერტიზას გადის და თუ რამე ისეთი გაიპარა, რაც განვითარებად ქვეყანას არ შეშვენის, მას უკვე პრეზიდენტი დაადებს ვეტოს, რათა „დათვური დახმარებების“ ნაკადი არ შეწყდეს და ხელისუფალთა შემოსავალს საფრთხე არ შეექმნას. სწორედ ამიტომ დაადო „ვეტო“ შევარდნაძემ პარლამენტის მიერ მიღებულ ხე-ტყის გატანის აკრძალვის კანონს.

ჩვენს უფლებებს საზღვარგარეთიდან განკარგავენ, მაგრამ ისრაელიც ხომ „განვითარებად ქვეყნად“ იყო გამოცხადებული?

ტყუილად ვედრებით ისრაელს. მას სხვა, გაცილებით დიდი და უაღრესად მდიდარი მფარველი ჰყავს და მისი „განვითარებადობა“ ის შირმაა, რომლის იქით ისრაელი ყოველწლიური დახმარების სახით 2,6 მილიარდ დოლარს იღებს, ხოლო სამხედრო დახმარება ყოველწლიურად 30 მილიარდს აღწევდა. ასეთ სამხედრო დახმარებას თურქეთიც იღებდა, ნატოში რომ შესულიყო რუსეთთან დასაპირისპირებლად. ჩვენ სხვანი ვართ და ბუშმაც ეს სპეციალურად აღნიშნა: „მე და ლორამ გზად გამოვიარეთო“, თორემ რა ესაქმება ძლევამოსილ ქვეყანას, მსოფლიოზე რომ ბატონობს, ვიღაც განუვითარებელ ქვეყანასთან გარდა იმისა, რომ მისი შვილების ერაყში და ავღანეთში საზარბაზნე ხორცად გაგზავნა მოუწონოს?

ახლა ბაიდენი გვეწვია ოფიციალური ვიზიტით და ჭკუაც უხვად დაურიგა ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ერთი მილიარდი დოლარიც კი უჩუქებია ამერიკელი ხალხის სახელით.

**ჩვენი მილიარდერები რატომ არ „გულუხვობენ“? ამერიკელებს ჩვენს მილიარდერებზე უფრო მეტად უყვართ საქართველო?**

ძნელია შეეკამათო უცხოელს, რომელიც შიმშილით სიკვდილისაგან დასახსნელად ლუკმას გესვრის და მოითხოვს, რომ სახელმწიფომ არ გაიღოს თანხები მეცნიერებაზე, კულტურასა და განათლებაზე. რა დროს სულიერებაზე ფიქრია, როცა შიმშილისგან სული გძვრება? ამიტომაც, პირველ რიგში ინტელიგენცია უნდა მოისპოს და მერე მართლმადიდებლობა ამოიძირკვოს, რათა ეს ქვეყანა მართლა განვითარებადი, „ბანანების“ ქვეყანა გახდეს პოლიციური რეჟიმით. დიქტატურა კი სწორედ ჯერ კიდევ შემორჩენილი ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართული იარაღია და საკმაოდ ხანდაზმულ ინტელიგენციას უკვე ძალაც აღარ შესწევს გაუმკლავდეს აღარც „თავისუფლების ინსტიტუტს“ და აღარც „იელოვას მოწმეებს“.



და შევყურებთ განწირულნი მომავალს, თუ როგორ ვანგრევთ განათლებას და ვსპობთ მეცნიერებას. სამაგიეროდ, როგორ გვიფერადებენ სახლების ფასადებს და გვიგებენ უხარისხო ასფალტს თურქეთიდან ჩამოყვანილი მუშები. თურმე ქართველი არც ინჟინერი გვჭირდება და არც არქიტექტორი. თვით შავ მუშებადაც კი არ ვვარგებულვართ და განვითარებადი კი არა, სრულიად განუვითარებელი ქვეყანა გავხდით და განა შეიძლება ამ განუვითარებელ სახელმწიფოს უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ოპერის თეატრი ან კინოსტუდია ჰქონდეს?

სწორედ ამ განუვითარებელ ქვეყანას (ისევე, როგორც ნიგერიას, ზამბიას და სხვა განვითარებად ქვეყნებსძ არ სჭირდება არც მეცნიერება და არც განათლება. კულტურა კი ეთნოგრაფიული ცეკვასიმღერით უნდა შემოიფარგლოს და მდაბიო ესტრადული შოუს შემყურენი დავრჩეთ.

სამაგიეროდ, ახლანდელი და წინა პრეზიდენტი დიდად ამაყობდნენ, რომ მათ მსოფლიოს საქართველო გააცნეს, მაგრამ, როგორ გაიცნო მსოფლიომ საქართველო? იმით, რომ ქართველი კრიმინალებით გაივსო ევროპა და ამერიკა, ქართველი მეძავებით საროსკიპოები? სწორედ ამ გაცნობამ შეუქმნა ქართველებს სავიზო პრობლემები მთელს მსოფლიოში!

არა, საქართველო ინტელექტუალურ ევროპასა და ამერიკას გაცილებით ადრე გააცნეს ქართველმა მეცნიერებმა, მწერლებმა, კულტურისა და ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლებმა, სპორტსმენებმა.

უკვე აღარ მიკვირს ჩვენი პრეზიდენტისა და პარლამენტის ზოგიერთი წევრის (მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარისძ განცხადება განათლების რეფორმის მოწონების შესახებ, რადგან ეს რეფორმა მთლიანად მსოფლიო ბანკის ბრძანებებით ჩატარდა, რამაც ჭეშმარიტად განუვითარებელი ქვეყნის შექმნამდე მიგვიყვანა. სწორედ ესაა „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი ფურცელი.

არსებობს კი გამოსავალი? გადარჩება კი საქართველო?

არსებობს ერთადერთი გზა: ხელისუფლებას უარი უნდა ვათქმევინოთ განვითარებადი ქვეყნის სტატუსზე და მათ, ვინც ამ სტატუსით თუ ხალხის გაქურდვით მილიარდები დააგროვეს, გადავახდევინოთ საქართველოს ყველა გარე და შიდა ვალი და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მივცეთ ხალხის გაქურდვისათვის. ასეთი ქურდები აქაც კარგად პარპაშობენ, თუმცა ზოგიერთმა უკვე უცხოეთს შეაფარა თავი. პრეზიდენტად კი ის უნდა ავირჩიოთ, ვინც საქართველოს ამ კაბალური ვალის ორმოდან ამოიყვანს და მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი საქართველოს გადარჩენა იქნება!

ნუთუ ღმერთი ისე გაგვწირავს, რომ ასეთი ქართველი არ გამოჩნდება?

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„თეთრები“,**
**„ქართული აკადემია“**

## ◉ დღის ალიან-ჩალიანი

# საკითხავია თორთლაძე იყო თუ არა კომკავშირელი?

**გია თორთლაძეს „ლუსტრაციის შესახებ“ კანონპროექტი მზად აქვს. ამის შესახებ განცხადება თორთლაძემ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**



**თორთლაძის თქმით, „საზოგადოება ამ კანონს 17 წელია ელოდება“ და საჭიროა, რომ ახლა მაინც იქნას მიღებული. თორთლაძის განმარტებით, კანონპროექტი განსაზღვრავს სსრკ-ის უშიშროებისა და სხვა სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, კომპარტიისა და ლენინური კომკავშირის მაღალი თანამდებობის პირების რეგისტრაციასა და ნებაყოფლობითი აღიარების წესებს.**

**ახალი კანონპროექტის მიხედვით, გარკვეულ მაღალ თანამდებობებზე იკრძალება იმ პირების დანიშვნა, რომლებიც იყვნენ ყოფილი სსრკ-ს სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები, კომპარტიის და კომკავშირის ცკ-ს წევრები და რაიონული კომიტეტის მდივნები, აგრეთვე სსრ ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.**

**თორთლაძის თქმით, კანონპროექტით, საქართველოს პრეზიდენტი ქმნის სახელმწიფო კომისიას, რომელშიც შევლენ შსს-ს თანამშრომლები, ასევე საპარლამენტო ფრაქციების თითო წარმომადგენელი, რომელიც იმუშავებს ლუსტაციის კანონის შესრულებაზე.**

**რაც შეეხება იმას, გამოქვეყნდება თუ არა იმ პირთა სიები, ვინც თავის დროზე თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან, თორთლაძე ამბობს, რომ სიები არ გამოქვეყნდება, თუ ადამიანები მივლენ და აღიარებით ჩვენებას მისცემენ და დატოვებენ თანამდებობებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ პროექტის თანახმად

# ჩეხ სტუდენტებს უმასპინძლა

**გუშინ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთობლივი გაცვლითი ვიზიტით ჩეხ სტუდენტებს უმასპინძლა. აღნიშნული პროექტი 2 კვირას მოიცავს და 30 აგვისტოს დასრულდება. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ სამართალმცოდნეობის თემაზე ლექცია წაიკითხა „პროგრამის მიზანია მოახდინოს ქართველი იურისტი სტუდენტების ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში და ამით ხელი შევუწყოთ საქართველოს ევროპასთან დაახლოებას“. — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.**



**პროექტის მეორე, დასკვნით კვირას, ქართველი სტუდენტები ეწვევიან ჩეხეთის დედაქალაქს, სადაც მათთვის დაგეგმილ აკადემიურ და სოციალურ პროგრამებში მიიღებენ მონაწილეობას.**

**ნათია შენგელია.**

ჯუჯა სახელმწიფოების ბედი



# სოხუმი. მყუდრო ინტერიერი. საუბრობენ ზღვის ტალღების ხმაურის ფონზე

– რა ჰქენით, ვერავინ შეიპირეთ რომ გაღიარონ? – შეეკითხა ამ დღეებში სოხუმში ჩასული პუტინი აფხაზეთის მთავარ სეპარატისტს.

– როგორ არა, არის ერთი სახელმწიფო...

– ვინ?

– ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, ამ ეტაპზე დასახელებისგან თავს შევიკავებ...

„ეგეც რომ მე მატყუებს თავის ჭკუაში", გაიფიქრა კაგებეს ყოფილმა აგენტმა და გუნებაში მწარედ გაეღიმა.

– უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი გულისთვის რუსეთმა ევროპაც მოიძულა, ნატოც და ობამაც!

–გვახსოვს, ვლადიმიროვიჩ, აი, დღე-დღეზე ბელარუსი აპირებდა ჩვენს ცნობას, მაგრამ, ეტყობა, ლუკაშენკომ ცნობა დაკარგა თუ სხვა რამ გასაღებიც, სულ გადაგვიდგა, ჩვენთან პარტნიორობას ევროკავშირთან „აღმოსავლეთის პარტნიორობა" ურჩევნია.

– ლუკაშენკო არასაიმედო სუბიექტია, მასთან ერთად დაზვერვაში არავინ წავა, – თქვა კაგებეს ყოფილმა აგენტმა.

– მასთან ერთად ყინულის მოედანზე თუ ისრიალებ.

– ისრიალებ და კისერსაც წაგატეხინებს, როგორც ჩვენ გვიყო. ორი მილიარდი დოლარიდან მილიარდნახევარი წაიღო და ახლა დასავლეთს შესციცინებს, სურს იმისგანაც ხელი მოითბოს. ვილას ახსოვს სოხუმი და ცხინვალი.

– არადა, სწორედ რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის დაკრძალვაზე მე და კოკოითს შემოგვციფა, როგორც ამ კაცს ხედავთ კუბოში ჩასვენებულს, თქვენს საკითხსაც ასე რეალურად გადავწყვეტო. გახარებულები დავბრუნდით შინ და აი...

– ამის პატიება როგორ შეიძლება! – თანდათანობით სიბრაზის ალმური ედებოდა სტუმარს.

– ალბათ, რძის ომის გამოა, ბატკოსთან რომ წამოვიწყეთ.

– ომი, ომი – ცხაროზდა კაგებეს ყოფილი აგენტი, – არ იცით, რომ რუსეთისთვის ომი ყველაზე მგრძნობიარე წერტილია? დიდი სახელმწიფო ომის გარეშე ვერც იარსებებს, სულ ერთია, ეს ომი ცივი იქნება თუ ცხელი, რძისა იქნება თუ ბორჯომის, აგვისტოსი თუ კოსმოსური.

– ვლადიმიროვიჩ, თუ არც გაეროში და არც ევროსაბჭოში არ გვიღებენ, რუსეთ-ბელარუსის ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს კარი მაინც გაგვიღეთ.

– გადაირიეთ? ამ კავშირში ლუკაშენკოს ისედაც ძლივს ვაჩერებ. თქვენთვის იქ არავის სცხელა. სხვა რა გინდათ, გაისად აფხაზეთში 15 მილიარდი რუბლი უნდა დავხარჯოთ.

– ო, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, თქვენს ამაგს აფხაზი ხალხი არასოდეს დაივიწყებს. ღირდა ღირდა, ამდენი ბრძოლა საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლისთვის! მართალია, თქვენ მიერ ჩვენი აღიარება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით ვერ მოხერხდა, მაგრამ დღეს ეს ვილას ახსოვს! წარმოდგენილი მაქვს, ამ ფულებით რამდენ საშვილიშვილო საქმეს დავადგამთ თავს: ასაშენებლია სკოლები, საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები, საცხოვრებელი სახლები, მოვაწყობთ კურორტებს, გავიყვანთ გზებს, შევქმნით ინფრასტრუქტურას. გმადლობთ, ვლადიმიროვიჩ, პატარა ერებზე უანგარო ზრუნვისთვის.

– რისი სკოლები, რა საავადმყოფოები, თუმცა მომავალში ესეც იქნება, მაგრამ ჯერ საქართველოსთან რუსეთის საზღვრის, ანუ აფხაზეთ-საქართველოს საზღვრის გამაგრებაა საჭირო. ის 15 მილიარდი სამხედრო ბაზრების მშენებლობას უნდა მოვახმაროთ. თქვენ მერე მოგხედავთ. ან, სულაც შეგაერთებთ რომელიმე ფედერალურ მხარესთან და იცხოვრეთ მშვიდად და ბედნიერად. როგორც ნახეთ, არც დამოუკიდებლობა ყოფილა დიდად საოცნებო რამ. იგი უზარმაზარი ტვირთია, რომელსაც ჯუჯა სახელმწიფოები მარტო ვერ ეზიდებიან, თუ დიდები არ მიეხმარნენ.

**გურამ ვაშაკიძე**

ინფორმაცია

## რესპუბლიკელ აქტივისტებს პატიმრობა მიუსაჯეს

**გორის სასამართლომ რესპუბლიკური პარტიის აქტივისტებს – დავით გუდაძესა და თამაზ ტლაშაძეს ოთხი და სამწლიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო 16 აგვისტოს გაიმართა.**

**ტლაშაძე და გუდაძე სამართალდამცავებმა ივნისის შუა რიცხვებში დააკავეს. გუდაძეს ხელყუმბარის უკანონო ფლობა და ტარება, ხოლო ტლაშაძეს ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა ბრალდებოდათ. ორივე მათგანი უარყოფს ბრალდებებს და აცხადებს, რომ მათი დაჭერა პოლიტიკური ნიშნით მოხდა.**

**ცნობისთვის, ორივე მათგანი იმ სიაში არიან, რომელიც შსს-ს ოპოზიციამ 12 აგვისტოს გადასცა.**

ჯი-ეიჩ-ენი

SIC!

# საჩუქარიც ქრთამია...

***საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მიერ ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომითი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, ომის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი თეიმურაზ ქობალია. მას ევალებოდა პასუხისმგებლობა და კონტროლი ჰუმანიტარული, ერთდროული, მატერიალური და სხვა სახის დახმარებების გაწევაზე.***

ქ. ზუგდიდში მცხოვრებმა მაყვალა მეზონიამ, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო არაერთხელ მიმართა თეიმურაზ ქობალიას, რათა ერთჯერადი დახმარების სახით მისთვის გამოეყოთ ზამთრისთვის შეშა. თ. ქობალია მას უარით ისტუმრებდა, ხოლო ბოლოს 100 ლარის გადახდის სანაცვლოდ შეპირდა ამ საკითის მოგვარებას.

დაბარებულ დღეს მაყვალა მეზონია ზუგდიდის გამგეობის შენობაში, სამუშაო ოთახში შეხვდა თეიმურაზ ქობალიას, რომელმაც მ. მეზონიასგან ქრთამის სახით აიღო ორი ცალი 20-ლარიანი დანომრილი კუპიურა. აღსანიშნავია, რომ მ. მეზონიას მისთვის უნდა გადაეცა 5 ცალი 20-ლარიანი, მაგრამ იმდენად იყო დაზნეული თავისი არაკეთილსინდისიერი საქციელის გამო, მხოლოდ ორი ცალი გადასცა!

ეს არის ამ ფაქტის ოფიციალური მხარე. არაოფიციალური მონაცემებით, გავრცელებული ვერსიით, თ. ქობალიას მ. მეზონიასთვის არავითარი ქრთამი არ მოუთხოვია და შეშაც ყოველგვარი ანგარების გარეშე გამოუყო.

თ. ქობალია თავს დამნაშავედ არ თვლის, რადგან თავის საქციელს განმარტავს იმით, რომ მას ქრთამი არ აუღია. ის ფაქტს აღიარებს, მაგრამ თანხა მიიღო როგორც საჩუქარი.

თ. ქობალიას ადვოკატის ვახტანგ გაბედავას განმარტებით, უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, ბრალდებულის ნებართვის გარეშე არ შეუძლია არანაირი კომენტარის გაკეთება. მას იმედი აქვს, რომ გამოძიება იტყვის თავის სიტყვას და დადგინდება სიმართლე. დანაშაული ითვალისწინებს 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

ვეკითხებით პრეზიდენტს

# მეცნიერები – ყველაზე დიდი ტუსაღები?!

**ამას წინათ საქართველოს ტელევიზიის ყველა არხმა დღეში მრავალჯერ გადასცა და მეც კმაყოფილებით მოვისმინე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და დიმიტრი შაშკინის საუბარი, თუ საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში როგორ კვებავენ პატიმრებს. ბატონმა შაშკინმა ბატონ პრეზიდენტს დაჯერებით აუწყა, რომ ყველაფერი კარგად არის.**



– მაინც პატიმრებზე კვებისათვის რამდენი იხარჯება? – ვითომც არ იცოდა, ისე ეკითხება პრეზიდენტი.

– თვიურად თითოეულ პატიმარზე 100 ლარი.

– ე. ი. დღეში რა გამოდის? – ანგარიშობს პრეზიდენტი.

– თითოეულ სულზე – 3 ლარი. – აზუსტებს ბ-ნი შაშკინი.

ბოლოს დინჯი ალტაცებით ორივენი შეთანხმდნენ, რომ ეს ფული საჭმელისთვის საკმარისია, ხოლო, თუ ვინმეს მეტი მოუნდება, იქვეა მაღაზიები და პლასტიკური ბარათებით ყველას შეუძლია, რაც მოუნდება, შეიძინოს.

გამეცინა. როდესაც შემოქმედებით ზენიტში მყოფი ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერები სამსახურიდან გაყარეს, მათ პენსიები არ „აკადრეს" და ე. წ. სტიპენდიები დაუნიშნეს – მეცნიერებათა დოქტორს 92 ლარი, მეცნიერებათა კანდიდატს კი 69 ლარი. შემდეგ მოუმატეს: პირველებს სტიპენდია 108 ლარამდე გაუზარდეს, მეორეებს – 81-მდე.

რა მივიღეთ? თუ პატიმრებს, კაცისმკვლელთ, ქურდებს, ყაჩაღებს და ათასნაირ დანაშაულთა ჩამდენთ კვებისთვის (დიახ, მხოლოდ კვებისთვის!) დღეში 3 ლარი ეძლევათ, ამდენივეს ლებულობენ გამორჩეული ნიჭისა და დამსახურების მქონე მუშაკები, რომლებსაც გადასახდელი აქვთ: გაზი, ელექტრონი, წყალი, ნაგვის გატანა და ა. შ. მარტო ტრანსპორტი რა ჯდება! სახლიდან რომ გამოხვალ, სულ ცოტა, ლარი მაინც გჭირდება!

ლუკმა პური ვის უნდა დაამადლო?! გულწრფელად უნდა ვთქვა, პატიმრებისთვის ულუფის გაზრდა როგორ არ უნდა გამხარებოდა, მაგრამ საყოველთაოდ ხმამაღლა უნდა ვიკითხო, უპირველესად კი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მივმართავ: რა დააშავეს მეცნიერებმა ასეთი?!

**ბორის დარჩია,**
**მეცნიერებათა დოქტორი, სტიპენდიატი.**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 71 წლის, ვცხოვრობ 8-სართულიანი ბინის III სართულზე. ბინა პრივატიზებულია და რეგისტრირებული მაქვს საჯარო რეესტრში. რამდენიმე დღის წინათ ჩემმა უფროსმა შვილმა მითხრა, ბინა საჯარო რეესტრში თავიდან უნდა დავარეგისტრიროთ, თორემ დავკარგავთო. გთხოვთ, ამიხსენით, მართლა ასეა?**

**ნინა გოგორიშვილი**



**პასუხი:** ნამდვილად არ არის ასე. თუ თქვენი ბინა ერთხელ უკვე გაქვთ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მისი ხელმეორედ რეგისტრაციის აუცილებლობა მოკლებულია ყოველგვარ კანონიერ საფუძველს.

* * *

**კითხვა: ვარ 68 წლის პენსიონერი. რამდენიმე წლის წინათ გავხდი მებაღეობის ამხანაგობის წევრი და სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის დახმარებით მე და დანარჩენ თანამშრომლებს გამოგვეყო სააგარაკოდ გარკვეული მიწის ნაკვეთი მუხათწყაროში, მაგრამ იგი დღემდე არ მაქვს დაკანონებული. ეკონომიკური პირობების გამო, საცხოვრებელი სახლი ნაკვეთში ვერ ავაშენე (აშენებული მაქვს მხოლოდ სარდაფი და ეზო შემოღობილია რკინის ბადით). გვინდა მიწის დაკანონება. იქნებ მირჩიოთ, ვის მივმართო დახმარებისთვის?**

**ლევან ნაფეტვარიძე**

**პასუხი:** გირჩევთ განცხადებით მიმართოთ ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებულ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიას. იქვე გაგარკვევენ, კონკრეტულად რა საბუთების წარდგენა იქნება საჭირო თქვენს სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის დასაკანონებლად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

**მათქმევინეთ!**

*ეს წერილი მხოლოდ ჩემს პირად სურვილს გამოხატავს და დარწმუნებული ვარ, საღად მოაზროვნე ყველა ქართველი მასში დასმულ ძირითად საკითხებს დაეთანხმება. ოპოზიციურ სპექტრს არსებული ხელისუფლების შეცვლა და ქართველი ერის გადარჩენა თუ მართლაც სურს, დაქსაქსულად კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ ერთიანი ძალებით ემზადებოდეს ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად.*

# გადედლებულმა ოპოზიციამ სააკაშვილს ძალების მოკრების შესაძლებლობა მისცა!

## საქართველოს ოპოზიციური პარტიების ლიდერებს



საქართველოსა და ქართველი ერის გადასარჩენად პირველ რიგში ქვეყნის ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანება და კონსენსუსზე დაფუძნებული პლატფორმის შემუშავებაა საჭირო. იმოქმედეთ ამ პრინციპით. იყავით ერის, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე პირნათელნი. გახსოვდეთ, ბედკრული საქართველო და მისი გაღატაკებული ქართველი ერი თქვენ შემოგყურებთ.

თუ ქვეყნის გადარჩენაზე მართლაც ფიქრობთ, ერის წინაშე სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის აღების არ უნდა გეშინოდეთ. ამ მიმართულებით მტკიცე ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. თქვენი მხრიდან არაერთგზის გაკეთებული კატეგორიული განცხადებებიდან გამომდინარე, ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ და ეს მძიმე ტვირთი ბოლომდე ატაროთ.

პოლიტიკა ხომ მისი შედეგებით განიზომება. მხოლოდ ის პოლიტიკური კურსია მისაღები, რომელიც ქვეყანას საუკეთესო ნაყოფს მისცემს. ამ ფორმულირებას უნდა დაეფუძნოს მთელი თქვენი პოლიტიკური საქმიანობა.

ერის გადარჩენისა და სახელმწიფოს მომავლის საქმეს ნუ დაიყვანთ ვიწრო პარტიულ ინტერესებამდე. ერის ხსნა მხოლოდ ეროვნული ცნობიერების მქონე პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის შედეგად გახდება შესაძლებელი. ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი ერთიანი ძალებით დაუპირისპირდებით უნიათო ხელისუფლებას. უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ იმავე მდგომარეობაში ვიმყოფებით, რა მდგომარეობაშიც დავით გურამიშვილის დროინდელი ქართლი იყო. მაშინდელი გადედლებული პოლიტიკური სპექტრის უნიათო მოქმედების განმეორება ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება. იმ შემთხვევაში თუკი ლიდერობაზე აცხადებთ პრეტენზიას, უნიათო ოპოზიციის მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდეთ და ქვეყნის გადასარჩენად ერთობლივი ძალისხმევით უნდა შეძლოთ თქვენი ფუნქციის შესრულება.

დღევანდელი გადასახედიდან, ჩემი აზრით, რამდენიმე უმთავრესი ნაბიჯი უნდა გადაიდგას:

დაუყოვნებლივ მოიწვიოთ სრულიად საქართველოს ეროვნული კრება (ყრილობაძ. სამართლებრივი, პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამ კრებაზე (ყრილობაზეძ დელეგატებად საქართველოს ყველა კუთხე (საერო და სასულიერო პირები, ეთნიკური უმცირესობებიძ უნდა იყოს წარმოდგენილი. ასეთი პრინციპით მოქმედება პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით მომგებიანი იქნება.

ეროვნულმა კრებამ (ყრილობამძ შესაბამის დოკუმენტებზე (საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაზეძ დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტის არალეგიტიმურობის შესახებ დადგენილება უნდა მიიღოს. სასურველია ამ ფონზე მოხდეს ეროვნული საბჭოს არსებობის მიზანშეწონილობის დასაბუთება. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა კრებამ ალტერნატიული საკანონმდებლო ორგანო — ეროვნული საბჭო უნდა აირჩიოს. მასში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების შეყვანა (გარკვეული კვოტითძ მიზანშეწონილად მიმაჩნია. იმავე კრების დადგენილებით ხაზგასმით უნდა იქნას მითითებული ეროვნული საბჭოს მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ეროვნულმა საბჭომ არა მარტო საკანონმდებლო ფუნქცია, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით პოლიტიკური ძალის კოორდინატორის როლიც უნდა შეასრულოს და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგების პასუხისმგებლობაც თავის თავზე აიღოს. მანვე უნდა შეიმუშაოს პოლიტიკური სიტუაციის შესატყვისი (მოქმედების საბრძოლო ტაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში ეროვნულ საბჭოს, მოქმედების ტაქტიკის დროულად შეცვლის უნარი უნდა გააჩნდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა ეროვნული საბჭოს ქმედითუნარიან პრეზიდიუმს უნდა მიენდოს. ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმა იმ აუცილებლობით არის განპირობებული, რომ ეროვნულ საბჭოს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს არსებობით, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა შეიქმნება, სააკაშვილსა და მის გარემოცვას მოსვენება დაეკარგება. თუკი პოლიტიკურ ძალთა ძალისხმევა ამ მიმართულებით წარიმართება, სასურველ შედეგსაც მიაღწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეული თქვენი მოქმედება კრილოვის იგავ-არაკის „გმირებს“ დაემსგავსება და დამარცხებისთვის იქნება განწირული. მით უმეტეს, პოლიტიკურ ძალთა სპონტანური და არაკოორდინირებული მოქმედება 2007-2008 წლების შეცდომების განმეორების რეალურ საფუძველს იძლევა. თქვენი სიჯიუტითა და პარტიული ამბიციურობიდან გამომდინარე, დიდი ალბათობა არსებობს, რომ ხალხის იმედს ისევე დაასამარებთ, როგორც 2007-2008 წლებში! იმოქმედეთ ისე, როგორც ეს ქვეყნის გადარჩენისა და ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ ძალას შეშვენის და არა თვითმარქვია გადედლებულ ოპოზიციას. ეროვნული საბჭო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს: სოროსულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და ერისა და ქვეყნის წინაშე დანაშაულის ჩამდენი პიროვნებების მიერ შექმნილ ფსევდოპოლიტიკურ პარტიებს. მათდამი დამოკიდებულების გარკვეული კრიტერიუმები უნდა შემუშავდეს, რადგან სრული იგნორირება უდიდეს პოლიტიკურ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ამ ორი ფაქტორის გაუთვალისწინებლობა, ეროვნული საბჭოსადმი საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას განაპირობებს.

ეროვნულმა საბჭომ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს წესდება, რომლისადმი მორჩილება ეროვნულ საბჭოში გაერთიანებულ ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის სავალდებულო იქნება. პოლიტიკურმა პარტიებმა ეროვნული საბჭო პირადი ამბიციური მიზნებისთვის ვერ უნდა გამოიყენოს. კონსესუსის უზენაესობის საფუძველზე უნდა მოხდეს ერთიანი ლიდერის გამოკვეთა. ამ შემთხვევაში პარტიული ინტერესები ეროვნულმა უნდა დაჩრდილოს.

ეროვნულმა საბჭომ უნდა აირჩიოს მისი უმაღლესი ორგანო — პრეზიდიუმი ან აღმასრულებელი კომიტეტი (მაქსიმუმ 10 კაციძ, არჩეული იქნეს მისი თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი...

ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა ან აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა განსაზღვროს — რისი გამჟღავნება ან არგამჟღავნება შეიძლება მასმედიის საშუალებით. კონსპირაცია აუცილებელია. ტელევიზიების მეშვეობით ეროვნული საბჭოს შიდასამზარეულოს ყველა საკითხის გამომზეურება დაუშვებელია.

ეროვნულმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს სამუშაო სექციები: (იურიდიული, ეკონომიკური, ფინანსური, თავდაცვის და ა. შ.ძ აირჩიოს სექციის წევრები (მინიმუმ 5-6 კაციძ, მისი თავმჯდომარეები. ამ გზით სვლა, მოსალოდნელი უმძიმესი ქაოსისგან ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი ალტერნატიული გზაა.

სააკაშვილის ხელისუფლებიდან მოცილების შემდეგ, არჩევნები სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ უნდა დანიშნოს და არა გაყალბებული არჩევნების გზით შეკოწიწებულმა დ. ბაქრაძის სალაყბომ.

***პოლიტიკურმა პარტიებმა ეროვნული საბჭო პირადი ამბიციური მიზნებისთვის ვერ უნდა გამოიყენოს. კონსესუსის უზენაესობის საფუძველზე უნდა მოხდეს ერთიანი ლიდერის გამოკვეთა. ამ შემთხვევაში პარტიული ინტერესები ეროვნულმა უნდა დაჩრდილოს.***

**გიორგი სუფსისპირელი**

*P. S. ეს წერილი თავის დროზე ეროვნულ ფორუმს, კონსერვატორებს და ლეიბორისტებს გადავეცი. მერე დავით აქუბარდიას დავუტოვე „კავკასიაში“. „ასავალ-დასავალის“ რედაქციას ინტერნეტით გადავუგზავნე. იმათ არც კი განიხილეს. არადა, მასში დასმული საკითხის პრაგმატულად გადაწყვეტა მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა აუცილებლობად აქცია. აპრილ-ივნისში სახელისუფლებო ვაკუუმი ორჯერ შეიქმნა. ძალაუფლება „ქუჩაში იყო დაგდებული“. ეროვნული საბჭო რომ ყოფილიყო შექმნილი, ამ მომენტის გამოყენების რეალური შანსი არსებობდა. ჩემი წერილის გავრცელებიდან ორი თვის შემდეგ, პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ზოგიერთმა რესპონდენტმა ეროვნული კრებისა და ეროვნული საბჭოს მოწვევის საჭიროება ზოგადად ახსენა. პოლიტიკური პარტიები ამ შემთხვევაშიც ყრუ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი კინკლაობას, პირველობისთვის ბრძოლასა და სატელევიზიო კამერებთან „კეკლუცობას“ მეტ დროს ანდომებდნენ, ვიდრე საქმის კეთებას. განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ დღევანდელ ოპოზიციას, ქუჩიდან ოპონირების გარდა, პოლიტიკური შემოქმედებითი მუშაობა არ შეუძლია. მათმა განსაკუთრებულმა ამბიციურობამ და პოლიტიკურმა უვიცობამ მ. სააკაშვილს პიარკამპანიის გაგრძელებისა და ძალების მოკრების შესაძლებლოა მისცა.*

*გ. ს.*

**ინფორმაცია**

### ქართველები პოლონეთს მიაწყდნენ

**საქართველოს** ასობით მოქალაქის რიგი დგას პოლონეთისა და ბელორუსის საზღვარზე. საქართველოს მოქალაქეები პოლონეთის ხელისუფლებას დევნილის მაძიებლის სტატუსით ბარდებიან. როგორც პოლონეთი-ბელორუსის საზღვრიდან იტყობინებიან, საზღვართან ქართველების კილომეტრობით რიგი დგას.

პოლონეთის საზღვართან დევნილების ასეთი მობილიზება პოლონეთის ხელისუფლების მიერ საქართველოდან ლტოლვილების მიღების მზაობის შესახებ განცხადებამ განაპირობა.

პოლონეთში შემსვლელთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ პოლონელი მესაზღვრეები ყველა ქართველს ვერ ატარებენ. ამიტომაც მათი ნაწილი საზღვრისპირა ქალაქ ბრესტში ათევს ღამეს.

პოლონეთის ხელისუფლება რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას ყოველთვიურად 300 ევროს ოდენობით უხდის ექვსი თვის განმავლობაში. ექვსი თვის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს პოლონეთის რესპუბლიკის ლტოლვილის სტატუსი ენიჭება და ქვეყანაში მუშაობის შესაძლებლობა ეძლევა, მიუხედავად ამისა დახმარება 300 ევრო კი არ ეხსნება. დევნილები აცხადებენ, რომ ლტოლვილთა ბანაკში მათ დღეში სამჯერ აჭმევენ და ნორმალურ პირობებში ცხოვრობენ. დევნილების ინფორმაციით, აგვისტოს განმავლობაში ათასობით საქართველოს მოქალაქე ჩავიდა პოლონეთში.

პოლონეთში დევნილის სტატუსით ძირითადად 1993 წლის საომარი მოქმედებების შედეგად ქცეული დევნილები ჩადიან. ყველაზე დიდი ნაკადი გაედინა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებიდან: წყალტუბოდან, ქუთაისიდან და ზუგდიდიდან. ამ დროისთვის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მინსკის მიმართულებით ყველა ბილეთი თვის ბოლომდე გაყიდულია. დევნილები მინსკში ჩაფრენის შემდეგ მატარებლით ბელორუსის საზღვრისპირა ქალაქ ბრესტში ჩადიან, რაც ყველაზე იაფი გზაა პოლონეთში მოსახვედრად.

### სოხუმში უკრაინელი ჯაშუშები დააკავეს

**სოხუმთან** ახლოს დაბა განთიადთან უკრაინის სამი მოქალაქე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს.

უკრაინელების დაკავება მარიონეტული რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას ბრძანებით მოხდა. მათ ჯაშუშობის მიზნით ფოტო და აუდიო მასალების მოპოვება ედებათ ბრალად. ბაღაფშის მარიონეტული მთავრობა უკრაინის მოქალაქეებს ანტირუსულ პროპაგანდაში ადანაშაულებს.

დაკავებულები დასაკითხად სოხუმის იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც მათი დაკითხვა გვიან საღამომდე გაგრძელდა. უკრაინის მოქალაქეები ბრალდებებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ აფხაზეთში სამოგზაუროდ იყვნენ ჩასული.

„ექსპრესნიუსი“

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# სამხრეთ ოსეთის გათიშული ოჯახები

**რუსეთის მიერ პატრულირებული საზღვარი, რომელიც სამხრეთ ოსეთს ჰყოფს საქართველოსგან, მიიკლაკნება მზით გაჩახჩახებულ ველებში, სადაც გათხრილია სანგრები, ბევრია ნაღმი.**

საზღვრის არსებობა შეიმჩნევა მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც იგი გზებს ჰკვეთს. მხარეთა ჯარისკაცები კი სხედან ქვიშიან ტომრებზე ერთმანეთისგან სულ რაღაც 60 ფუტში. მაგრამ ბევრი ოსისა და ქართველისთვის, რომელთა ნათესავები საზღვრის მეორე მხარეს აღმოჩნდნენ, თითქმის უხილავი ხაზი ისევე გადაულახავია, როგორც ოდესღაც ბერლინის კედელი.

„ქართველთა და ოსთა სისხლი ძალიან გადაჭდობილია ერთმანეთთან, – ამბობს ფატიმა, რომელიც ცხინვალის ერთ-ერთ ეზოში ბალიშის პირს კერავს. – ოსი გოგონები თხოვდებოდნენ ქართველებზე და ოსი ბიჭები თხოულობდნენ ქართველ გოგონებს. მაგრამ ახლა კავშირები აღარ არის – ყველაფერი დაიკარგა". საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე სამხრეთი ოსეთი [illegible] სამხრეთმა ოსეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველო უარს ამბობს ამბოხებული რესპუბლიკის აღიარებაზე. რეგიონში მორიგი ომის შიშის ფონზე კვლავ მტკიცედ იცავენ საზღვარს, რომლის გადალახვაც თითქმის შეუძლებელია.

ომი დამთავრდა 2008 წლის 12 აგვისტოს, მაგრამ ემოციური და პოლიტიკური კონფლიქტი ქართველებსა და სამხრეთ ოსეთელებს შორის შენარჩუნებულია, ოჯახებს შიგნითაც კი. ამ ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ნათესაური კავშირებით, მაგრამ რუსეთის პროპაგანდა, რომელიც აღვივებს ზიზღსა და ავრცელებს დეზინფორმაციას, მათ შორის ბარიერებს აგებს.

იზოლდა ბაგაევა ზის ფარდულში ფატიმას გვერდით და გვიამბობს თავის თბილისელ ნათესავებზე. „ტელეფონით ჩვენ მხოლოდ ოჯახებზე ვსაუბრობთ. ჩვენ არასოდეს ვლაპარაკობთ პოლიტიკაზე, ვინაიდან არ გვინდა ვიდავოთ, – ამბობს იგი. – რამდენიმე დღის წინათ მე დეიდას ველაპარაკებოდი და მან მითხრა: იცი, ჩვენ უკვე ველარ შევხვდებით ერთმანეთს". ბაგაევას თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ როგორც ბევრი სხვაც სამხრეთ ოსეთში, იგი გრძნობს, რომ ეს მსხვერპლი უნდა გაღებულიყო: ჩვენ გვინდა, რომ სიტუაცია საზღვარზე გაუმჯობესდეს, მაგრამ ჩვენ გვინდა ვიცოცხლოთ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენთვის გზა უკან არ არსებობს. ჩვენ დამოუკიდებლობა გვინდა".

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ერთ-ერთი მცირერიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს სამხრეთ ოსეთში. იგი დიდი ხანია ილვწის მონახოს გზები ოჯახების გასაერთიანებლად, ომმა რომ გათიშა.

მაგრამ ასეთ ამღვრეულ ატმოსფეროში ოჯახების შეერთება შეიძლება დრამატულად განვითარდეს, ვინაიდან ხალხს ესმის, რომ ოჯახის წევრებს შორის არჩევანის დროს ხშირად ერთი აირჩევენ იდენტობა – ან ქართული, ან ოსური, ზოგიერთ შემთხვევაში კი გაურკვეველია [illegible] მშობლებს შორის.

ქართველი მამუკა ზენაშვილი თავის ოს ცოლ ნინოსთან ერთად ისევ ცხინვალში ცხოვრობს და მიიჩნევს, რომ უახლოეს პერიოდში საზღვარი არ გაიხსნება. მაგრამ იგი ხედავს იმის ნიშნებს, რომ ერთხელაც იქნება ხალხი გამოფხიზლდება ომისგან: „ადამიანებს სურთ მივიდნენ ნათესავებთან, მეგობრებთან და ივაჭრონ, ამბობს იგი და იმზირება მეზობელი სახლისკენ, რომელიც თითქმის მთლიანად განადგურდა შარშანდელი ომის დროს. – მეზობლებს საკმაოდ ბევრი პრობლემები აქვთ, რომ იფიქრონ ჩემს გვარზე. ზოგჯერ ისინი მოდიან და მეკითხებიან – ხომ არ მინდა დახმარება სახლის რემონტში". მაგრამ რეგიონში თანხმობის ეს იშვიათი შემთხვევებია, ეტყობა, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეთნოსთა შორის დაპირისპირება.

**ჯონ უენდლი**

TIME

# ჰაკერებმა შეტევის განსახორციელებლად საიდენტიფიკაციო მონაცემები მოიპარეს

**რუსმა ჰაკერებმა მოიპოვეს ამერიკული საიდენტიფიკაციო მონაცემები და პროგრამული საშუალებები, რათა შეეტიათ ვებ-საიტებზე საქართველოს მთავრობისთვის რუსეთსა და საქართველოს შორის შარშანდელი ომის დროს.**

2008 წლის აგვისტოს კიბერშეტევებმა მნიშვნელოვნად დაარღვიეს საქართველოს საკომუნიკაციო შესაძლებლობანი, მწყობრიდან გამოიყვანეს 20-ზე მეტი ვებ-საიტი ერთ კვირაში. მათ შორის – საქართველოს პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის, აგრეთვე ეროვნული ბანკისა და რამდენიმე დიდი ახალმშენებლობის საიტები.

შეტევები საქართველოში განხორციელდა რუსეთის კრიმინალური ჯგუფების მიერ და მათ არ ჰქონიათ რაიმე უშუალო ურთიერთობა რუსეთის მთავრობასთან. მაგრამ მათი დრო – სულ რამდენიმე საათი რუსეთის შეტევის შემდეგ – მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის მთავრობას შეეძლო მათი ირიბი კოორდინირება, ნათქვამია „უსკუს" ყოფილი ტექნიკური დირექტორის და ეროვნული უშიშროებისა და დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს სააგენტოს კიბერსაშიშროების საკითხების მკვლევარის ჯონ ბუმგარნერის მოხსენებაში.

ბუმგარნერი ამტკიცებს, რომ შეტევები ხორციელდებოდა 10 ვებ-საიტიდან, რომლებიც დარეგისტრირებული არიან რუსეთსა და თურქეთში. 9 მათგანი დარეგისტრირებული იყო იდენტიფიცირებული მონაცემებისა და საკრედიტო რუკების ინფორმაციების გამოყენებით, რომლებიც მოჰპარეს ამერიკელებს, ერთ-ერთმა საიტმა გამოიყენა ინფორმაცია, რომელიც ერთ-ერთ ფრანგს მოჰპარა.

**შივონ გორმანი**

THE WALL STREET JOURNAL

# მაფიის ხელები ომისშემდგომ ნანგრევებზე

**სამხრეთმა ოსეთმა და მისმა სეპარატისტულმა „დამ" აფხაზეთმა ამ დღეებში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამერიკულ კომპანია „სეილორ კომპანიასთან", რათა გააუმჯობესონ ამ რესპუბლიკების იმიჯი საერთაშორისო არენაზე.**

მთავარი მიზანია – შეახსენონ მსოფლიოს საქართველოს არმიის მკაცრ თავდასხმაზე ცხინვალში, უამბონ იმის შესახებ, რომ სწორედ რუსეთის არმიამ გადაარჩინა სამხრეთი ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობა, დაუპირისპირდნენ ძვირადღირებულ და აგრესიულ საინფორმაციო პოლიტიკას, თბილისი რომ ახორციელებს. და ეს დახმარება არ იქნება უფასო: ამერიკელი მეპიარეები თითოეული ამ რესპუბლიკიდან მიიღებენ თვეში 30 ათას დოლარს თითოეულისგან (ანგარიშებს გაანაღდებს კრემლი!. ამერიკელ ექსპერტებს მოუწევთ აუხსნან დასავლეთს, რომ საქართველოსგან დამოუკიდებლობის საკითხი მას შემდეგ, რაც უკვე მოხდა, საბოლოოდ გადაწყვეტილია. ამერიკელებს გაუჭირდებათ, დღევანდელი სიტუაცია არ არის იოლი. მაგალითად, რომ გაგზავნო ღია ბარათი, საჭიროა მას რუსული მარკა დააწებო, ვინაიდან ცხინვალს არ გააჩნია საკუთარი მარკა. მეპიარეებს მოუწევთ იმის განმარტება, თუ რატომ არის ერთ-ერთი პრიორიტეტული ობიექტი პატარა ელეგანტური რკინიგზის სადგური, რომლის სალაროშიც შეიძლება შეიძინო ავტობუსის ბილეთი: მატარებლები აქ დიდი ხანია აღარ მოძრაობენ, რელსები დაზიანებულია და დაჟანგული, მათი გამოყენება შეუძლებელია. საბჭოთა კავშირის დროს ცხინვალი იყო ბოლო სადგური ხაზისა, რომელიც სამხრეთ ოსეთს საქართველოსთან აერთიანებდა.

გასაოცარია, რისთვის დასჭირდათ მილიონების დახარჯვა რკინიგზის სადგურისთვის? რატომ არ უნდა გამოგვეყენებინა ეს ფული 3533 დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯანმრთელობის დაცვაზე? გახარებს ის, რომ სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორი ვალენტინა მატვიენკო, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აქვს ვლადიმერ პუტინთან, დაჰპირდა მასშტაბურ დახმარებას საავადმყოფოს აღდგენაში.

დიმიტრი მედვედევი, რომელიც ჩავიდა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში 13 ივლისს, გაოცებული იყო ყველგან არსებული ადგილობრივი კორუფციის გამო: ყველაფერი ამ რესპუბლიკაში დარჩა ისე, როგორც ერთი წლის წინათ იყო. წყალი სახლებს მიეწოდება ერთი საათის განმავლობაში დილა-საღამოს, ელექტროდენის გამორთვა ჩვეულებრივი ამბავია. რუსეთი აცხადებს იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის აღსადგენად გაიღო უზარმაზარი სახსრები. სამწუხაროდ, კეთილი განზრახვები იხრჩობა ცხინვალის ტალახში, როგორც ხურდა ფული, რომელიც პინოკიომ ჩაფლა სასწაულების ველზე. მას ის ფული აღარ უნახავს, ვინაიდან იგი მოიპარეს კატამ და მელიამ, რამდენიმე კატამ მოსკოვიდან და მრავალრიცხოვანმა მელიებმა ცხინვალში.

**ლეონარდო კოენი**

la Repubblica

# სიყვარულის სამკუთხედი: რუსეთი, აშშ და კავკასია

**მიხეილ სააკაშვილი ცხოვრობს და მეფობს. ის ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტია. გავიდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც მან მოახდინა რუსეთთან ომის პროვოცირება, როდესაც შეიჭრა სამხრეთ ოსეთში და მოაწყო ასობით რუსეთის უიარაღო მოქალაქეთა ხოცვა-ჟლეტვა.**

მაშინ სააკაშვილმა პლანეტა დააყენა სერიოზული გლობალური კონფლიქტის ზღვარზე. საბედნიეროდ, რუსებმა რამდენიმე დღეში გაანადგურეს საქართველოს არმია. ხოლო ბუშსა და ჩეინს არ ეყოთ გამბედაობა, მიექციათ სააკაშვილისთვის ყურადღება, თუმცა იგი მათ ამას თხოვდა, ისევე, როგორც ნატოს გაეგზავნა – თავისი ჯარები საქართველოში.

რესპუბლიკელი კონგრესმენები ოცნებობდნენ ენახათ ამერიკელი ჯარისკაცები საქართველოს ტერიტორიაზე... დაღუპულები რუსეთის არმიის ტყვიებისგან. ეს იყო მათთვის უკანასკნელი იმედი იმ ალბათობისა, რომ გაემარჯვნათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში და გაესწროთ დემოკრატებისთვის.

საბედნიეროდ, ეს გეგმა ჩაიშალა. საქართველოს ავანტურისტი პრეზიდენტის სამხედრო დამარცხებამ საშუალება მისცა მსოფლიოს – მშვიდად გაეგრძელებინა პეკინში ოლიმპიური თამაშებისადმი თვალყურის დევნება. ჩეინი და „ცბიერი მელიები" გაქრნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ავანსცენიდან. მაგრამ ავანტურისტი სააკაშვილი დარჩა იქ, სადაც იყო, არ დაუკარგავს არც ხელისუფლება და არც ქედმაღლობა. მისი ქვეყანა კი უკვე აღარ არის კეთილდღეობისა და უშიშროების ქვეყანა.

საქართველოს ძვირად დაუჯდა რუსეთზე თავდასხმა. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, ორი სეპარატისტული რეგიონი, აღარასოდეს დაბრუნდებიან საქართველოს ხელისუფლების ქვეშ. კრემლმა უკვე აღიარა მათი დამოუკიდებლობა. ეს არის ორივეს რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის პირველი ნაბიჯი, როდესაც ამისთვის ხელსაყრელი მომენტი დადგება.

ამრიგად სააკაშვილისა და ჩრდილოამერიკელი ნეოკონსერვატორების „თამაში", რაც მიზნად ისახავდა საქართველოს ერთგვარ „კავკასიურ ისრაელად" გადაქცევას რუსეთის ქვეშ, გადაიქცა ნამდვილ კოშმარად პატარა ქვეყნისთვის.

ომში მოსკოვი გამარჯვებული დარჩა. მაგრამ ის, რომ მან გაიმარჯვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, არ არის დიდმნიშვნელოვანი. მოსკოვმა სიგნალი მისცა რამდენიმე ადრესატს. ჯერ ერთი, კავკასიის ქვეყნებს, რომლებიც ძირითადად ისწრაფვიან ამერიკელებისკენ და აზერბაიჯანის ნავთობისკენ: კრემლი მზადაა აიტანოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა ყველა სფეროში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მოეპყრობა ტოლერანტულად პოლიტიკურ და სამხედრო გამოწვევებს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო ბაზებს ამ ტერიტორიებზე.

ეს გზავნილი მიმართული იყო იმათკენ, ვინც მოითხოვს ავტონომიებს არასტაბილური კავკასიური რესპუბლიკებისთვის (ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი და ა.შ.), აგრძნობინებს მათ, რომ მოსკოვმა გათელა საქართველო იმიტომ, რომ მან შეუტია სამხრეთ ოსეთს და ცხადია, რომ იგი ვერ მოითმენს თავისი შემადგენლობიდან სხვა რუსული რესპუბლიკების „გამოსვლას", თუნდაც მოუწიოს მათი სისხლში ჩახრჩობა, როგორც ეს მოხდა ჩეჩნეთში.

ევროპელებმა კარგად გაიგეს რუსეთის გზავნილის შინაარსი და სწორად განმარტავენ მას. და ისინი უმალვე გაცივდნენ სააკაშვილის მიმართ, შეიძლება ითქვას, გაიყინენ კიდეც. თუმცა მათი დამოკიდებულება მისდამი არ შეიძლება მივიჩნიოთ მტრულად.

ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებით ევროპელებმა გადაუხადეს საქართველოს უხვი კომპენსაცია, ამიტომ გაგონებაც კი არ უნდათ მათ ნატოში საქართველოს ინტეგრაციის შესახებ. „არ არსებობს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სამხედრო გზით დაბრუნების არავითარი ვარიანტი", გააფრთხილა საქართველოს პარლამენტი ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა და სააკაშვილის მეგობარმა ჯო ბაიდენმა. ნუთუ, ის მართლაც ასე მიიჩნევს?

**ჯორჯ ეჰმატოლი**

Monitor MERCANTIL

## დედამიწის ზურგზე



**ველური ბუნების მსოფლიო ფონდი: პანდებს სამი თაობის შემდეგ გადაშენება ემუქრებათ**

ბამბუკის დათვის ყოფის არეალი თანდათან მცირდება ბამბუკის ტყეების ჭრისა და სასწრაფო ელექტროსადგურების, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიზეზით. სტატისტიკის მონაცემებით, 1975 წლიდან 1985 წლამდე პანდების ყოფის მოედანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 29,5-დან – 13 ათას კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა გახსნის საზღვარს სამხრეთ კორეასთან**

ფხენიანი საზღვარს გახსნის ტურიზმის განვითარებისა და ოჯახების შეერთების მიზნით. წინა დღით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი შეხვდება ერთ-ერთი სამხრეთ კორეული კონცერნის ლიდერს, რომელიც 10 აგვისტოდან ფხენიანში იმყოფება. ვარაუდობდნენ, რომ მისი ჩასვლის მიზეზი იყო კომპანიის თანამშრომლის გათავისუფლება.

* * *




**ამერიკელების უმრავლესობა მიესალმება არმიაში ქალების როლის გაძლიერებას**

ამავე დროს რესპონდენტთა 53 პროცენტი აღნიშნავს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები უნდა მსახურობდნენ იმ ნაწილებში, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საბრძოლო მოქმედებებში. კაცობრიობის ულამაზეს ნახევართა შორის გამოვლინდა საინტერესო ტენდენცია: რამდენადაც ისინი უფრო ახალგაზრდები არიან, მით უფრო აქტიურად უჭერენ მხარს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის იდეას.

* * *

**მექსიკის ყურეში წარმოქმნილი ციკლონი ქარიშხალ „კლოდეტად" გადაიქცა**

ფლორიდის შტატში გამოცხადდა გაფრთხილება შტორმის გამო. ამ დროს ატლანტიკაში ჩამოყალიბდა ერთბაშად ორი ტროპიკული გრიგალი, რომლებიც ამჟამად მიემართებიან კარიბის მხარისკენ. ერთ-ერთი მათგანი „ანა" ემუქრება პუერ-რიკოს, დომინგოს რესპუბლიკას და ვირჯინიის კუნძულებს, მაგრამ მან ძნელად რომ მოაღწიოს ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროს. მეორე „ბილი" შეიძლება მივიდეს ფლორიდამდე.

* * *

**ავღანეთში ხუთი ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა.**

სამხედრო მოსამსახურეები აფეთქდნენ ნაღმზე პატრულირების დროს სამხრეთ ავღანეთის პროვინცია ჰილმენდში. ბრიტანელ მსხვერპლთა საერთო რიცხვმა ავღანეთში კამპანიის დაწყებიდან – 2001 წლის ოქტომბრიდან – მიაღწია 204 კაცს, რაც უკვე 25-ით მეტია ერაყში დ აღუპულთა რაოდენობაზე.



# სტრესისგან სუქდებიან



**სტრესმა შეიძლება შეგვძინოს ზედმეტი კილოგრამები, დაადგინეს ამერიკელმა ფიზიოლოგებმა.**

უფრო ადრე მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ეკონომიკური არასტაბილურობის დროს ადამიანები, რომლებმაც გადაიტანეს ძლიერი სტრესი, ეწევიან რისკს, შეიძინონ გულის დაავადებანი, კიბო და ჰიპერტონია. ახლა სტრესის შედეგებს დაემატა სიმსუქნეც.

მკვლევართა დასკვნების თანახმად, ქალები უფრო ხშირად ნერვიულობენ და იმატებენ წონაში ფინანსური პრობლემების, საყვარელ ადამიანთან დავისა და სოციალური იზოლაციის გამო. მამაკაცები კი უფრო ხშირად სუქდებიან, როდესაც არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება სამუშაოსთან დაკავშირებით და როდესაც არ გააჩნიათ კარიერული ზრდისათვის საჭირო ჩვევები.

ამერიკელი თერაპევტები ვარაუდობენ, რომ სტრესის პერიოდში ადამიანები ცვლიან თავიანთ კვებითს ჩვევებს, რომლებსაც, თავის მხრივ, შეუძლიათ, მიგვიყვანონ წონის ცვლილებებთან.

# მეხსიერების დამკარგავებისთვის აუცილებელია ურთიერთობა

**მომვლელსა და პაციენტს შორის ემოციური სიახლოვე გვეხმარება ალცჰეიმერის ავადმყოფობის მკურნალობის დროს, მიაჩნიათ ამერიკელ ნევროლოგებს. ეს ეხმარება ავადმყოფებს, უფრო დიდხანს შეინარჩუნონ გონება.**

ფსიქიატრებმა დააფიქსირეს იმ ადამიანების გუნება-განწყობილების მნიშვნელოვანი სხვაობა, ვისაც ჰქონდა ახლო და ნდობითი ურთიერთობა მომვლელებთან, და იმათი, ვისაც ასეთი ურთიერთობა არ ჰქონდა. პაციენტების ჯანმრთელობაზე უკეთეს ეფექტს აღწევდნენ ნათესავები (მეუღლეები ან დიდი შვილები), რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ოჯახის ავადმყოფ წევრს. ემოციური მხარდაჭერა და ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია დეგენერატიული მოშლილობის ადამიანებისთვის, დაასკვნეს ექსპერტებმა.



# რატომ იზრდება ფასები

**შუამავლები რუსეთში ზრდიან ფასებს წამლებზე, მიაჩნია ეროვნული დისტრიბუტორული კომპანიის გენერალურ დირექტორს ნასტასია ივანოვას.**

ჩვენს ფარმაცევტულ ბაზარზე მუშაობს წამლების 1,5 ათასი დისტრიბუტორი. ასეთ ოდენობას მივყავართ იქამდე, რომ იმპორტული პრეპარატების საცალო ფასი შეიძლება მწარმოებლის გასაცემ ფასს 3-5-ჯერ აღემატებოდეს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რუსეთის ჯანმრთელობის ზედამხედველობის ინიციატივამ წამლებზე ფასების მონიტორინგის შესახებ გამოიღო შედეგი – ზოგიერთ რეგიონში მოხდა ფასების სტაბილიზაცია. წამლებზე ფასების სახელმწიფო რეგულირების ახალი ზომები აისახება კანონპროექტში „სამკურნალო საშუალებათა ბრუნვის შესახებ". მწარმოებლის გასაცემი ფასის აუცილებელი რეგისტრაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელობის წამლებისათვის, აგრეთვე საბითუმო და საცალო ვაჭრობის დანამატების ანგარიშგების ერთიანი წესი.

# რატომ წითლდება კანი?

**ნებისმიერ ამინდში ქუჩაში მიწითლდება კანი. რასთან არის ეს დაკავშირებული? თუ არის კანის გაწითლების საწინააღმდეგო საცხები?**

**მარინა თ. სიღნაღი**

**გვიპასუხებს ექიმი-კოსმეტოლოგი თამარ ნინიძე:**



– კანის გაწითლება შეიძლება გამოიწვიოს მთელმა რიგმა ფაქტორებმა. მაგრამ ყველაზე გავრცელებული მიზეზია (განსაკუთრებით მოზარდების ასაკშიძ ვეგეტოსისხლძარღვების დისტონია. როგორც წესი, კანის გაწითლებას იწვევს სისხლძარღვების გაფართოება და წვრილი კაპილარული ძსოვილის გაჩენა. მაგრამ მაინც სასურველია სამედიცინო გამოკვლევის გავლა და ზუსტი დიაგნოზის დადგენა. კანის გაწითლების რეგულირება შეიძლება როგორც გარეგანი, ისე შინაგანი საშუალებებით. სისხლძარღვთა გამაგრების პრეპარატებს არჩევს ექიმი-თერაპევტი ანალიზებისა და ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესაბამისად. გარეგან საშუალებებს კი განეკუთვნება სპეციალური საცხები კუპიროზის (სისხლძარღვთა გაფართოებისძ წინააღმდეგ, რომლებიც უნდა ვიხმაროთ ქუჩაში გამოსვლის წინ.

# ის, რაც ექიმმა გამოგვიწერა

**დასამშვიდებლად:** ბრამისს „იავნანა", დებიუსის „მთვარის შუქი", შუბერტის „ავე მარია", შოპენის მაზურკები და პრელუდიები, შტრაუსის ვალსები.

**ნევროზისა და გაღიზიანების დროს:** ბეთჰოვენის „მთვარის სონატა", ბახის „კანტატა № 2" და „იტალიური კონცერტი", ჰაიდნის „სიმფონია".

**წნევის რყევებისა და გულის მოქმედების დარღვევის დროს:** მენდელსონის „საქორწილო მარში", შოპენის „რე-მინორის ნოქტურნი" და ბახის „კონცერტი რე-მინორი" ვიოლინოსათვის.

**მიგრენის დროს:** ოგინსკის „პოლონეზი", ლისტის „უნგრული რაფსოდია", ბეთჰოვენის „ფიდელიო".

**უძილობის დროს:** გრიგის სუიტა „პერ გიუნტი", სიბელიუსის „სევდიანი ვალსი", შუმანის „ოცნებები", ჩაიკოვსკის პიესები.

**გასტრიტის დროს:** ბეთჰოვენის „სონატა № 7".

**ალკოჰოლისა და თამბაქოსადმი მიდრეკილების დროს:** შუბერტის „ავე მარია", ბეთჰოვენის „მთვარის სონატა", სენ-სანსის „გედი", სვირიდოვის „ქარბუქი".



# გაუსწრებენ ამერიკელებს



**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გრიპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ოლეგ კისელევმა განაცხადა, რომ გრიპ A/HN1 -ის ვაქცინა რუსეთში შეიძლება გაჩნდეს უფრო ადრე, ვიდრე აშშ-ში.**

მან აღნიშნა, რომ პირველი საცდელი პარტია ექვსი ათასი ამპულის ოდენობით მალე უნდა მიიღონ მწარმოებელი საწარმოდან. 15 აგვისტოს მეცნიერებმა დაიწყეს ვაქცინის გამოცდა ვოლონტარებზე. შემოდგომით კი დაიწყება მისი წარმოება. საჭიროა, მოვასწროთ ვაქცინის შექმნა ეპიდემიური სეზონის დაწყებამდე, – განმარტა კისილევმა.

# გონების ვარჯიში

**ხართ ოტელო სულიერად?**

**უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს, რაც დაგეხმარებათ, განსაზღვროთ, რამდენად ჭკვიანი ხართ.**

**1. საყვარელი ადამიანი გთავაზობთ, შვებულება ცალ-ცალკე გაატაროთ. თქვენ:**

აძ მშვიდად ხვდებით ნათქვამს და წყნარი ფორმით ცდილობთ, დაარწმუნოთ იგი, რომ ერთობლივი შვებულება გაცილებით სასიამოვნო და რომანტიკული იქნებოდა.

ბძ მხარს უჭერთ წინადადებას, ეთანხმებით, რომ ზოგჯერ საჭიროა ერთმანეთისგან დასვენებაც.

გძ გწყინთ და პარტნიორს ეუბნებით, რომ მისი გრძნობები თქვენდამი გაცივდა.

**2. ცოტა ხანია, ახლობელი ადამიანი ჩვეულებრივზე უფრო გვიან მოდის სამუშაოდან. თქვენი რეაქცია?**

აძ რა არის აქ განსაკუთრებული, თქვენც გაქვთ პერიოდები, როცა გიხდებათ მთელი დღე სამუშაოზე ყოფნა.

ბძ ძალიან დიდი განცდებისათვის მიზეზებს ვერ ხედავთ, მაგრამ უსათუოდ დაელაპარაკებით თქვენს მეორე ნახევარს და გამოხატავთ თქვენს უკმაყოფილებას ამასთან დაკავშირებით.

გძ უნებლიეთ იწყებთ ფიქრს, შემთხვევითი ინტრიგა ხომ არაა დამნაშავე...

**3. ის ძილში ხშირად იძახის უცხო სახელს, როგორ მოიქცევით?**

აძ დილით ფრთხილად შეეცდებით გაარკვიოთ საყვარელ ადამიანთან, ვისია ეს სახელი?

ბძ არ მიაქცევთ ყურადღებას.

გძ გაალვიძებთ და მოითხოვთ განმარტებას.

**4. თუ გაქვთ წესად, შეამოწმოთ თქვენი მეორე ნახევრის ჯიბეები, გადაათვალიეროთ მისი უბის წიგნაკები?**

აძ არა, ცდილობთ, ენდოთ ახლობელ ადამიანს.

ბძ დიახ.

გძ არა, ასეთის ნებას თავს არ მისცემთ, თუმცა ამის გაკეთება ზოგჯერ გინდათ.

**5. თქვენმა პარტნიორმა დაიწყო უფრო მეტი ზრუნვა თავისი გარეგნობისათვის, თქვენ:**



აძ არ მიაქცევთ ამას განსაკუთრებულ ყურადღებას.

ბძ გაგეხარდებათ, რომ საყვარელი ადამიანი მეტ დროს უთმობს თავის თავს.

გძ გადაწყვეტთ, რომ ამის უკან აუცილებლად არის ახალი რომანტიკული გატაცება.

**6. მას შემდეგ, რაც საყვარელმა ადამიანმა დაამთავრა ტელეფონით საუბარი, თქვენ:**

აძ ჩვეულებრივად არ გაინტერესებთ, თუ ვინ დარეკა.

ბძ განიცდით ცნობისმოყვარეობას, მაგრამ გამოკითხვებისაგან თავს იკავებთ.

გძ ყოველთვის გაიგებთ, თუ ვინ იყო იგი.

**7. რომელ გამონათქვამს უფრო დაეთანხმებოდით:**

აძ „სიყვარული ყოველთვის ანთებს თავის ჩამქრალ ჩირაღდანს ეჭვიანობის ალზე".

ბძ „ეჭვიანობა – ეს ჩვენი სიამაყის ჩერჩეტი შვილია".

გძ „მგზნებარედ მოსიყვარულე გულში დროთა განმავლობაში ან სიყვარული კლავს ეჭვიანობას, ან ეჭვიანობა კლავს სიყვარულს".

**8. საღამოს შეხვედრაზე ერთ-ერთი სტუმარი სულ კომპლიმენტებს ეუბნება თქვენს პარტნიორს. როგორ რეაგირებას მოახდენთ?**

აძ თავშეკავებით მოეკიდებით.

ბძ დაიწყებთ გამორკვევას, ვინაა იგი და სად გაიცნეს ერთმანეთი.

გძ გეამებათ, რომ თქვენს გვერდითაა ადამიანი, რომელიც საინტერესო და სასიამოვნოა გარშემო მყოფთათვის.

**ცხრილის დახმარებით დაიანგარიშეთ ქულები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 3 | 2 |
| ბ | 1 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 1 | 3 |
| გ | 3 | 3 | 3 | 2 | 3 | 3 | 2 | 1 |

**8-12 ქულა.** ალბათ, თქვენი კრედო შეიძლება გამხდარიყო ბრძენის სიტყვები: ვისაც ჭეშმარიტად უყვარს, ის ცდილობს, არ იეჭვიანოს, სიყვარულის არსი ხომ ნდობაა. თქვენ მთლიანად დარწმუნებული ხართ, რომ თქვენზე უკეთესს თქვენი მეორე ნახევარი ვერავის ნახავს.

**13-18 ქულა.** ეს შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ პრინციპულად იზიარებთ ძველ წესს და თავად ცდილობთ, მისდიოთ მას: თუ გსურს შეინარჩუნო საყვარელი ადამიანი, გააკეთე ისე, რომ მან იგრძნოს: მასზე ცოტას ეჭვიანობენ, თუ გსურს დაკარგვა – დაიწყე მასზე ეჭვიანობა ცოტა უფრო მეტად.

**19-24 ქულა.** თქვენ ეჭვიანი ხართ! შეუცნობელი ეჭვიანობის წყარო ხშირად იმალება არა ძლიერ სიყვარულში, არამედ თქვენი ხასიათის თავისებურებაში. არ არის საჭირო ახლობელი ადამიანის წყენინება ეჭვებით, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ, შეიძლება, ეწეოდეთ, თქვენგან დამოუკიდებლადაც კი, თქვენი ურთიერთობის ნგრევის რისკს.

# ევოლუცია ქალებს ალამაზებს

**ევოლუციის პროცესში ქალები უფრო ლამაზები ხდებიან, კაცები კი – არა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფინელი მეცნიერები.**

**ასევე აღმოჩნდა, რომ ლამაზ ქალებს მეტი ბავშვები ჰყავთ – 16 პროცენტით მეტი საშუალო სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით. თანაც მათ უჩნდებათ მეტი გოგონები. მაშასადამე, ლამაზი ქალების რიცხვის ზრდის ტენდენცია ძლიერდება ყოველ ახალ თაობასთან ერთად.**



რაც შეეხება მამაკაცებს, მათ იერსახეს არ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა კაცობრიობის ულამაზესი ნახევრისათვის. მამაკაცისთვის მთავარია უნარი – დაიცვას მეუღლე და შექმნას სიცოცხლის კომფორტული პირობები თავისი ოჯახისთვის. მამაკაცების სილამაზის ნაკლოვანების კომპენსირება ხდება მატერიალური შეძლებით.

გამოკვლევებმა აგრეთვე აჩვენეს, რომ ლამაზ მამაკაცებს, ლამაზი ქალებისგან განსხვავებით, არ ჰყავთ ბევრი ბავშვი. წყვილებს კი, როცა ორივე ლამაზად გამოიყურება, 26 პროცენტზე ნაკლები შანსი აქვთ, შობონ ვაჟი, ვიდრე საშუალო სტატისტიკურ ცოლ-ქმარს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

კალათბურთი

# მაგრამ ჩვენ უფრო ბარაქა გვინდა



**ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დიდი კალათბურთი საქართველოში დაბრუნდა. მოგეხსენებათ, ვარდოსანთა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკისა და შარშანდელი აგვისტოს ომის გამო „ჯვაროსნებმა“ ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის „გ“ ჯგუფის ოთხივე მატჩი სტუმრად გამართეს, რომელთაგან სამი მოიგეს.**

და აი, დაიწყო საპასუხო შეხვედრების სერია – პირველ მეტოქედ იგორ კოკოშკოვის შეგირდებს ლუქსემბურგელები ეწვივნენ.

ერთი შეხედვით, მასპინძლებს იოლი გასეირნება ელოდათ – მათ ხომ ბენილუქსელები სტუმრად 33-ქულიანი სხვაობით დაამარცხეს, მაგრამ არის გარემოება, რომელიც ჩვენი ქვეყნის გუნდს დამატებით ფსიქოლოგიურ ტვირთად აწვება: ესაა ის სიახლე, რომელიც ფიბამ გათამაშების დებულებაში წლეულს დაამკვიდრა და რომლის შესაბამისადაც ტოლი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობას იმ ნაკრებს ანიჭებს, რომელსაც ბურთების საერთო შეფარდება აქვს უკეთესი და არა იმას, ვინც ურთიერთშეხვედრებში აჯობა კონკურენტს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია არა უბრალოდ ოთხივე ბრძოლის მოგება, არამედ ყველას რაც შეიძლება ქულათა დიდი მარაგით დაჩოქება. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ამ ტურში ქართველები ისვენებენ, შვედები კი, ვისთანაც ერთადაც, სავარაუდოდ, ტოლ-ტოლი მონაგრით დავასრულებთ საკვალიფიკაციო რაუნდს, სწორედ ჯგუფის აუტსაიდერს – ლუქსემბურგს მიიღებენ საკუთარ სარბიელზე და წესით და რიგით, არ უნდა გაუჭირდეთ სასურველი შედეგის მიღწევა. აი, მაშინ კი პლეი-ოფში განწირულნი ვიქნებით ჩერნოგორიელებთან...

თუმცა, სიტყვა გაგვექცა და, მოდით, თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ უთანასწორო დუელს დავუბრუნდეთ



**საქართველო – ლუქსემბურგი 115:73**

**(31:17, 29:11, 22:25, 33:20ძ**

**საქართველო:** ელისი – 23, ფაჩულია, ცინცაძე – 20-20, ვლადიმერ ბოისა – 19, სანიკიძე – 15, შერმადინი – 11, ცქიტიშვილი – 5, გამყრელიძე – 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ანატოლი ბოისამ და ტუღუშმა.

**ლუქსემბურგი:** მარტინ რაინიაკი – 20, პეტერ რაინიაკი – 18, შუმახერი – 16, იეტცი – 8, ბირენბაუმი – 6, ფერეირა – 3, კოსტერი – 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე შვარცმა, პიკარდმა და თილიმ.

დასანანია, დიდებულად დაწყებული საქმე ბიჭებმა ლოგიკურ დასასრულამდე რომ ვერ მიიყვანეს და „მხოლოდ“ 42 ქულით სძლიეს მეტოქეს. არადა, ასეთ მოკრძალებულ ანგარიშში დამნაშავენი ძმები რაინიაკები არიან, განსაკუთრებით კი – პეტერი, რომელიც მეორე ნახევარში გამოცოცხლდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარტომ მოგვიგო მესამე პერიოდი.

დავძენთ, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშეს გიორგი ცინცაძეს „ჰიუნდაის“ ცენტრის სახელით სპეციალური პრიზი ყოფილმა კალათბურთელმა დავით გიორგობიანმა გადასცა...

ამავე ტურში შვედეთმა დუბლინში 66:50 სძლია ირლანდიას, თანაც პირველი მეოთხედი 15:2 (!ძ მოუგო და უდანაკარგოდ განაგრძობს ასპარეზობას.

**ხვალ ითამაშებენ:** საქართველო – ირლანდია, შვედეთი – სლოვაკეთი.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

გლობალიზაცია

# ოლიმპიზმის გადასახედიდან

**საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში, სადაც ჩაისახა და ანტიკური ოლიმპიური თამაშები იმართებოდა, წლევანდელი ივლისი მთლიანად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებულ მე-17 სემინარს დაეთმო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით.** რჩეულთა შორის საქართველოდან მოხვდა სპორტის აკადემიის წლევანდელი კურსდამთავრებული, 2001 წლის მსოფლიო ოლიმპიურ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული თორნიკე გაჩეჩილაძე, რომელიც 2004 წელს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ბანაკში იყო მიწვეული. იგი სემინარის მონაწილეთა შორის ყველაზე უმცროსი აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, მისმა თემამ, „გლობალიზაცია და ოლიმპიზმი (პარალელებიძ“, გამორჩეული ინტერესი გამოიწვია ნოვაციითაც. ქართველმა ახალგაზრდამ ფაქტების მოხმობით პრეზენტაციაზე დაასაბუთა, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი, რომელიც გარდაუვალია, უპირველესად ცხოვრების ცალკეულ დარგებში უნდა აისახოს, რაც სპორტმა უკვე გაიარა – სრულყო ოლიმპიური მოძრაობა და მის გვირგვინად აქცია ოლიმპიური თამაშები. გლობალიზაციის დევიზიც, „რაც კარგია შენი – ჩემიცაა და რაც კარგია ჩემი – შენიცაა“, ყველაზე უწინ სპორტმა გახადა რეალური და ამის მკაფიო მაგალითად თორნიკე გაჩეჩილაძემ ძიუდო დაასახელა, რომელიც იაპონური ხალხური სპორტის სახეობაა და მსოფლიოს საკუთრებად იქცა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ადგილის დამკვიდრებით. მოხსენებისას მას სიტყვა იაპონელმა მეცნიერმა შეაწყვეტინა შეკითხვით: „რატომ გგონია, რომ ძიუდო შენიცაა? ის იყო და რჩება იაპონელი ხალხის საკუთრებად“.



„მე კი არ მგონია, ეს ასეა“, – უპასუხა ქართველმა ჭაბუკმა და ეკრანზე აჩვენა ვიდეოკადრი, ათენის ოლიმპიადაზე ზურაბ ზვიადაურმა ქართული ჭიდაობის ულამაზესი ილეთით ტატამზე რომ დასცა იაპონელთა კერპი ჰიროში იზუმი. აუდიტორიამ ოვაციით ფეხზე წამომდგარმა გამოხატა აღტაცება და კმაყოფილება ილუსტრაციებით გაჯერებული შთამბეჭდავი და ლაკონური პასუხის გამო.

მომხსენებელმა, ძიუდოს მსგავსად, ყურადღება მიაპყრო ჩვენი ხალხის წიაღიდან გამოსული ქართული ჭიდაობის უნიკალურობას და საკულტო ნაგებობებისთვის არადამახასიათებელი უიშვიათესი ფრესკა აჩვენა, რომელიც შუა საუკუნეებში ალავერდის ტაძარზეა მოხატული და ქართული ჭიდაობის ეპიზოდს ასახავს. ჩვენი ეროვნული საუნჯით განსაკუთრებით ამერიკელი და კანადელი სპორტის მკვლევარები დაინტერესებულან. სურვილი გამოუთქვამთ, ეწვიონ საქართველოს სპორტის ამ სახეობის ახლოს გასაცნობად.

კონფერენციის მონაწილეებისთვის ინტელექტუალური კონკურსიც ჩატარდა 100 შეკითხვით. ყველაზე მეტი სწორი პასუხი თორნიკე გაჩეჩილაძეს აღმოაჩნდა და მთავარი ჯილდოც მას გადაეცა. ამასთან, მიმდინარე წლის ოქტომბრიდან იგი სწავლის გასაგრძელებლად საბერძნეთშია მიწვეული ოლიმპიური ღონისძიებების მენეჯერის სპეციალობის დასაუფლებლად...



**ზემოთ ზურაბ ზვიადაური ვახსენეთ. ქართველმა ფალავანმა ხუთი წლის წინათ – 2004 წლის 18 აგვისტოს ათენის „ანო ლიოსიოს“ სპორტულ დარბაზში ძიუდოისტთა ტურნირის ფინალური შეხვედრა მოუგო იაპონელ იზუმის და დამოუკიდებელი საქართველოს სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული.**

**ვაჟა დანელია**

სხვათა შორის

# გასათვალისწინებელია

**გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა – პროექტ „30X30“ ფარგლებში ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდ „იავნანასა“ და საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ შორის. ვიმედოვნებთ, ისინი არაერთ საშვილიშვილო ჩანაფიქრს განახორციელებენ, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ...**

**აი, საგულისხმო ფაქტები:** თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და ამდენივეგზის თასის მფლობელია, მაგრამ ასეთი ქვეყანა, მოგეხსენებათ, რუკაზე აღარ არსებობს;

თბილისის „დინამო“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელიცაა (1981 წ.ძ, მაგრამ ამ ტურნირმაც უკვე დალია ჩაილურის წყალი;

დაბოლოს, თბილისის „დინამომ“ 2004 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თასი მოიპოვა, თუმცა საქართველო დღეს ოფიციალურად ემშვიდობება აღნიშნულ ორგანიზაციას.

**მოკლედ, მიხვდით, ხომ, რისი თქმაც გვსურს: ღმერთმა ადღეგრძელოს ფონდი „იავნანა“ და მისი თავკაცი.**

ჭიდაობა

# ჯავახიშვილი პირველია

**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა პოლონეთში პეტლიასინსკის ტურნირზე იასპარეზეს.** მონაწილეთა შორის იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი დავით ბედინაძე (60ძ, ახალგაზრდა ფალავნები – სოსო ჯაბიძე (96ძ და დიმიტრი ჯავახიშვილი (მძიმე წონაძ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ჯავახიშვილი, რომელმაც ზედიზედ სძლია პოლონელ ლუკაშ ბენაკს, ჩეხ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ მარეკ სვეშს, გერმანელ რალფ ბორინგერსა და ამერიკელ მსოფლიოს ჩემპიონს დრემილ ბიერსს. ბედინაძე და ჯაბიძე სამეულს მიღმა აღმოჩნდნენ.

მძლეოსნობა

# მე-14 ადგილით დაკმაყოფილდა

**ბერლინში გრძელდება მძლეოსანთა მე-12 მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც უკვე იასპარეზა ქართველმა მარიამ ქევხიშვილმა.** ბირთვის კვრაში მისი საუკეთესო შედეგი – 17,95 მეტრი ფინალში მოსახვედრად საკმარისი არ აღმოჩნდა – მე-14 ადგილზე გავიდა. საკვალიფიკაციოში 19,70 მეტრით პირველობა ახალზელანდიელ ოლიმპიურ ჩემპიონს ვალერია ვილის ხვდა, რომელმაც ფინალშიც ყველას აჯობა – 20,44 მეტრი.



ინტერნეტიდან

## ფავორიტების რბევა

**სწორედ ასე წარიმართა მონრეალში ვაჟ ჩოგბურთელთა მასტერ – 1000 კატეგორიის ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია.**

მეოთხედფინალში საფრანგეთის წარმომადგენელმა მსოფლიო რეიტინგით მეშვიდე ცონგამ ტურნირის გაგრძელების საშუალება არ მისცა პლანეტის პირველ ჩოგანოსანს შვეიცარიელ ფედერერს – 7:6, 1:6, 7:6. არგენტინელმა დელ პეტრომ კი შეჯიბრებიდან გამოთიშა პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, ესპანელი ნადალი 7:6, 6:1.

ნახევარფინალში ბრიტანელმა ენდი მარეიმ დაამარცხა ცონგა, ხოლო დელ პეტრომ – ამერიკელი როდიკი.

ამ გამარჯვებით ენდი მარეიმ რეიტინგში გადაუსწრო ნადალს და პლანეტის მეორე ჩოგანოსანი გახდა.

## მარიამის მოლოდინში

**გაუგებარია, თუ რას ფიქრობდნენ მილანის „ინტერის“ მესვეურნი, როცა ლონდონის „ვესტ ჰემს“ იჯარით აძლევდნენ ჩილელ ჰავბეკ ლუის ჰიმენესს. გარდა იმისა, რომ იგი თავად ჩინებული ფეხბურთელია, მას კიდევ მშვენიერი სატრფოც ჰყავს, რომელიც, ცხადია, მეგობარს ნისლიან ალბიონშიც გაჰყვება.**

არადა, ფეხბურთელის მეგობარი ქალიშვილი ჭეშმარიტად ლამაზი ქალბატონია. მოდელი და შოუების პოპულარული მონაწილე მარია ხოსე ლოპესს იტალიაში მასმედიის ყურადღება აშკარად აკლდა, ინგლისში კი მისი ცხოვრება, შესაძლოა, ძირეულად შეიცვალოს. საქმე ის არის, რომ ინგლისურ ტაბლოიდებს ყელში ამოუვიდნენ ვიქტორია ბექჰემი, შერილ კოული, ჯემა ატკინსონი, ეზი კლენსი და კოლინ რუნი. მაღალი საზოგადოების ქრონიკას აშკარად ახალი სიო სჭირდება, რომლადაც, შეიძლება, მარია ხოსე ლოპესი იქცეს. ამისთვის მადლობა კი ინგლისელებმა უნდა უთხრან ჯანფრანკო ძოლასა და ჟოზე მაურინიოს, რომლებმაც ჩილელი ფეხბურთელი „ვესტ ჰემში“ ყოველგვარი პრობლემის გარეშე გაუშვეს.



**რეაქცია**



## ამირან ბიწაძე — დემოკრატიის მეორე ტალღის მსხვერპლი

**უკვე გაუწყეთ, როგორი სისასტიკით გაუსწორდნენ ვარდ-ყვავილოვანი ხელისუფლების ბარბაროსი ზონდერბრიგადები ოპოზიციის თვალსაჩინო აქტივისტს, მსოფლიოს ჩემპიონს წესების გარეშე ბრძოლაში ამირან ბიწაძეს.**

**მართალია, ამ აღმაშფოთებელი ფაქტიდან თითქმის ერთი თვე გავიდა, მაგრამ სპორტული სამყარო მის შესახებ დღესაც დუმს. სამაგიეროდ, საკუთარ პოზიციას პირუთვნელად აფიქსირებენ ქართული საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები.**

**გვესაუბრება რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი.**

როგორც ცნობილია, ამირანი ცხვარიჭამიიდან წამოვიდა. მაინტერესებს, ვინც გზაზე ჩაუსაფრდა, ისინი რისი ჭამიები არიან.

სამწუხაროდ, ქართველი კაცის ბუნებაა: თუ სახლში არ შეუვარდი, თუ შვილი არ მოუკალი, სხვა დაზარალებულს არ ჭირისუფლობს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომელიმე ჩემს მეგობარ პოეტს ან თუნდაც არამეგობარს ასეთი რამ რომ მოსწეოდა, მე ხმა არ ავიმაღლო. მაშ, სად არიან მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენები, რატომ არ იღებენ ხმას?

მე მივმართავ მსოფლიოს თუ ოლიმპიურ ჩემპიონებს, ყველა სპორტსმენს: ერთადერთი თქვენი მომრევი ღლევანდელი ხელისუფლებაა.

ხმა ამოიღეთ და დაიცავით თქვენი მართლისმთქმელი და მართლისმქმნელი კოლეგა.

თურმე დემოკრატიის ახალი ტალღა დაიწყო. ამ ტალღას დემოკრატიულობისა არაფერი გააჩნია, იგი მოკლე ხანში წალეკავს მთელ საქართველოს.

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

## როცა ბოლტი ქარივით დაჰქრის



**ალბათ გახსოვთ, როდესაც იამაიკელმა სპრინტერმა უსეინ ბოლტმა 100 მეტრი მძლეოსნობის ისტორიაში ყველაზე სწრაფად — 9,69 წამში გაირბინა, ითქვა, რომ გაჭირდებოდა მისი მსოფლიო რეკორდის დამხობა, მაგრამ ეს თავისებური „წინასწარმეტყველება“ არ გამართლდა, ბერლინში მიმდინარე მძლეოსანთა პლანეტის ჩემპიონატზე ბოლტის ის საოცნებოდ რეკორდი დაემხო — სპორტულმა წამზომმა დააფიქსირა ფენომენალური დრო — 9,58 წამი და ის აჩვენა ისევ და ისევ სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა იამაიკელმა უსეინ ბოლტმა! თუმცა მაშინ პეკინში მან 9,69 წამი „იკმარა“.**

უნდა ითქვას, რომ იამაიკელმა ეს ფანტასტიკური რეკორდი ამერიკელ ტაისონ გეიმთან და თანამემამულე, მსოფლიო ექს-რეკორდსმენ ასაფა პაუელთან ბრძოლაში დაამყარა, პირველმა 9,71 წამი აჩვენა, მეორემ კი — 9,84.

ბოლტს ალბათ მხოლოდ ქარი თუ დაეწევა!

**ფეხბურთი**

## აქეთურ-იქითური

**XXI ეროვნული ჩემპიონატის III ტურიდან გათამაშებაში ჩაერთო ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი თბილისის „დინამო“, რომელმაც წინა მატჩები ევროპის ლიგაში სამარცხვინო გამოსვლის გამო გამოტოვა.**

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ ჯავრი „თეთრ-ლურჯებმა“ აწ უკვე ყოფილ ლიდერ „ცხინვალზე“ იყარეს, რომელსაც ყველა კომპონენტში აჯობეს — 5:0 (კაშია, ფირცხალავა, ვაწაძე, აკირემი, ნერგაძეძ. შეგახსენებთ, რომ დევნილთა გუნდის ღირსებას მრავლად იცავენ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაოსტატებული ფეხბურთელები (ბათიაშვილი, დიდავა, ოდიკაძე, ჩირიკაშვილიძ, ამიტომ გასაკვირი იყო, რომ ყოფილ პარტნიორთა კარისკენ მათ პირველად 75-ე (!ძ წუთზე დაარტყეს.

**დანარჩენი შედეგები:** „ვიტ ჯორჯია“ — „სიონი“ 2:1, „ოლიმპი“ — „სამტრედია“ 5:0, „ბაია“ — „ლოკომოტივი“ 2:1, „ზესტაფონი“ — „გაგრა“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ოლიმპი“ — 9, „ზესტაფონი“ — 7, „ცხინვალი“, „ვიტ ჯორჯია“ — 6-6 ქულა.

**22 აგვისტოს ითამაშებენ:** „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“, „ცხინვალი“ — „ლოკომოტივი“, „სამტრედია“ — „ბაია“, „სიონი“ — „ზესტაფონი“, „გაგრა“ — „ოლიმპი“.

* * *

**ესპანეთი. სუპერთასის პირველი მატჩი.** „ბილბაო“ — „ბარსელონა“ 1:2.

**ინგლისი. I ტური.** „მანჩესტერი“ — „ბირმინგემი“ 1:0, „ჩელსი“ — „ჰალი“ 2:1, „ევერტონი“ — „არსენალი“ 1:6, „ტოტენჰემი“ — „ლივერპული“ 2:1.

**გერმანია. II ტური.** „შალკე“ — „ბოხუმი“ 3:0, „კიოლნი“ — „ვოლფსბურგი“ 1:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შალკე“, „ვოლფსბურგი“ — 6-6 ქულა.

**საფრანგეთი. II ტური.** „ნანსი“ — „მონაკო“ 4:0, „სოშო“ — „ბორდო“ 2:3, „მარსელი“ — „ლილი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ნანსი“, „მარსელი“, „ბორდო“ — 6-6 ქულა.

**ხსოვნა**

## ბორის ბაშელეიშვილი

ბორის ვლადიმერის ძე ბაშელეიშვილი დაიბადა 1939 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში, სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშში. აქვე მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ კი გაწვეული იყო წითელი არმიის რიგებში და სწავლობდა ქ. ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში, მაგრამ იძულებული იყო შეეწყვიტა სწავლა, მშობლების ადრე გარდაცვალების და მცირეწლოვანი სამი ძმის ობლად დარჩენის გამო. ბატონი ბორისი დაუბრუნდა ოჯახს და თვითონ სრულიად ახალგაზრდამ ხელმოკლე პირობების მიუხედავად, ღირსეულად შეასრულა მშობლების როლი ძმების აღზრდის და მათი განათლების საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისინი შესაბამისი განათლების მიღების შემდეგ ღირსეულად მუშაობდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და საფინანსო დაწესებულებებში თვალსაჩინო თანამდებობებზე.



თვითონ — ბორის ბაშელეიშვილი დარჩა სოფელში, სადაც ჩვეული მუყაითობით ათეული წლების განმავლობაში აქტიურად ხელმძღვანელობდა ბაშის სათესლე მეურნეობის ერთ-ერთ მეტად რთულ სამეურნეო საქმიანობას, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქ. მოსკოვის შესაბამის უწყებაზე უშუალოდ დაქვემდებარებულ ამ სპეციალიზირებული მეურნეობის წარმატებით ფუნქციონირებას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის კულტურების სხვადასხვა ჯიშების თესლით მომარაგების საქმეში, რისთვისაც არა ერთხელ იყო წახალისებული საპატიო სიგელებით და ჯილდოებით.

ბატონმა ბორისმა შრომისმოყვარეობით და ენერგიულობით გამორჩეულ მეუღლე მედეასთან მჭიდრო ურთიერთობით შექმნა თვალსაჩინო ოჯახი და მის უმცროს ძმებთან ერთად ასევე სამშობლოს აღუზარდა შესანიშნავი შვილები, რომლებიც დღეს ნაყოფიერად შრომობენ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, შრომისმოყვარე და ღირსეული ადამიანი, რომლის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების და ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

გ. ხაზარაძე, თ. ხაზარაძე, ბ. ფოცხვერაშვილი, ა. შენგელია, ს. ნინუა, რ. ბაშელეიშვილი, მ. ბაშელეიშვილი, ლ. თვალავაძე, ი. ხაზარაძე, გ. გერაძე, დ. ცქიტიშვილი, ო. გერაძე, ხ. კაშია, შ. თედორაძე

---

მეუღლე მედეა ბაშელეიშვილი, შვილები ირაკლი და თამარი, რძალი ასმათ დიაკონიძე, შვილიშვილები გიორგი, ნინიკო, ბესიკი და მელიტა, სიძე თემურ სვანაძე, ძმისწულები, დისწულები, დეიდაშვილები იუწყებიან

ბორის ვლადიმერის ძე ბაშელეიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 VIII, 18 სთ. დასაფლავება 20 VIII, 15 სთ. სამტრედიის რაიონის სოფ. ბაში.

---

მამუკა ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი ნათესავის

ბორის ბაშელეიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გიზო და დავით ხაზარაძეები უდიდესი მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი და საყვარელი ადამიანის

ბორის ბაშელეიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ მედიას, მათ შვილებს და შვილიშვილებს.

---

ანზორ შონია, ჯემალ კვირტია, კახა არდია ოჯახებით, თანაგრძნობას უცხადებენ გივი სოსელიას და თემურ თოდუას სიძისა და ძმისწულის

მერაბ თოდუას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო თანაუგრძნობს საბჭოს კადრების განყოფილების უფროსს მანანა აქუბარდიას მეუღლის

დავით პეტრიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---



მშობლები, დედმამიშვილები, დისწულები, ძმისწულები, რძალი და სიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იზო გულბანი

პანაშვიდი 18, 19 VIII, 15 სთ. გამოსვენება 20 VIII, 14 სთ. ბოლნისი, ფიროსმანის ქ. 34.

---

მეუღლე მედიკო დაუშვილი, შვილები ვასიკო და ქეთინო, რძალი თათია ბოზოხიძე, სიძე გია აბზიანიძე, შვილიშვილები ლევანი, მარიამი, ლევანი, ნიკა, ძმები ბორისი, მერაბი, რძალი ნაზი მოხევიშვილი და ბიძაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ვასილის ძე კიკვიძე

პანაშვდი 18, 19 VIII, 17 სთ. გამოსვენება 20 VIII, 14 სთ. მის: ალ. ყაზბეგის №41, VI სად. ბ. №74.

---

დიმიტრი, მედეა, ლალი, ლიკა ქემოკლიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის

ლევან კიკვიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დემური, ცისა, რამაზ ქურდაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის

ლევან კიკვიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „პროგრესის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება გენ. დირექტორის მოადგილის

ლევან კიკვიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, ს.ს. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, ქალბატონი

ეთერ ვარლამის ასული ჯანელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

# განცხადება აუქციონის შესახებ

**2009 წლის 26 აგვისტოს, 10:30 საათზე, მისამართზე: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს “ლოიალ კაპიტალ ფროფერთი – საქართველოს” (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. №6) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

• 1 540 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარე მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. №6, რესტორან „არაგვისა“ და ფირმა „ვერხვებისთვის“ დამაგრებულ ნაკვეთებს შორის (ნაკვ. 2/1);

• 2 242 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარე მისამართზე: თამარ მეფის გამზირისა და ცირკის ასასვლელი გზის კუთხეში;

• 2 168 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარე მისამართზე: მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, თამარ მეფის სახელობის ხიდსა და რესტორან „არაგვს“ შორის.

ქონების საწყისი ფასია 1,904,000 (ერთი მილიონ ცხრაასოთხი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს ქონების საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი – სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონზე სარეალიზაციოდ გამოტანილი ნივთები გაიყიდება მხოლოდ ერთად.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც გამოთქვამს ყველა ნივთის ერთდროულად შეძენის სურვილს და დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი: სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №7.**

## ზაფხული და ჩვენ

# პარკებს დამსვენებლები შემოაკლდათ



**უცნაურად გრილი ზაფხული კია, მაგრამ... თბილისის პარკებში ასე ცოტა ხალხი არასოდეს ყოფილა. გართობისა და დასვენების მსურველთა რაოდენობა აშკარად შემცირდა. მიზეზი არა მხოლოდ ის არის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მთის კურორტებსა თუ ზღვაზე დასვენებას ანიჭებს უპირატესობას. საქმე ის არის, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად იმატა ფასმა ატრაქციონებსა და გასართობ საშუალებებზე, შესაბამისად, გაიზარდა ამით უკმაყოფილო დამსვენებელთა რაოდენობაც.**

„ზოოპარკში“ ატრაქციონების ფასი 20 თეთრიდან იწყებოდა, ახლა უკვე მინიმალური გადასახადი 1 ლარი გახდა. მიზეზად ის სახელდება, რომ პარკი კერძო მესაკუთრეთა ხელში გადავიდა. ანალოგიური ვითარებაა „ვაკის პარკსა“ და მთაწმინდის განახლებულ პარკ „ბომბორაშიც“. ბილეთის ღირებულება 1-დან 5 ლარამდე მერყეობს.

რაც შეეხება ორი წლის წინათ გახსნილ „ევროპარკს“, იგი თანამედროვე ევროპული სტანდარტებით არის აშენებული, სადაც ფუნქციონირებს 4 აუზი, დამონტაჟებულია ხელოვნური მდინარეები და შადრევნები, წყლის ექსტრემალური ატრაქციონები. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ ხელმისაწვდომია საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის. აქ ერთი დღის გატარება 40 ლარი, ხოლო ერთთვიანი აბონენტი 400 ლარი დაგიჯდებათ!

ვინა თქვა, საქართველო ღარიბი, განვითარებადი ქვეყანააო. ფასებს ეს არ ეტყობა!

**ნათია შენგელია**

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი



### სახლის პლანეტარიუმი

130 დოლარი ღირს სახლის პლანეტარიუმი Homestar Planetarium Projector-ი, რომელიც იაპონელმა გამომგონებელმა ტაკაიუკი ოხირამ შექმნა. ამ სფერული პროექტორს ათი ათასი გალაქტიკის განლაგების დემონსტრირება შეუძლია, ხოლო პლანეტების გამოსახულება სასტუმრო ოთახის კედლებსა და ჭერზე გამოყვანაა შესაძლებელი.

### დარაჯობს... მუდმივი ტემპერატურა



17 გრადუსი – ესაა მუდმივი ტემპერატურა, რომელსაც ლონდონის მუზეუმის დარვინის ცენტრის ახალ შენობაში შეინარჩუნებენ, სადაც 28 მილიონი მწერი და 12 მილიონი ფლორის ნიმუშია დაცული. ეს ტემპერატურული რეჟიმი შენობაში პარაზიტებისა და მწერების გამრავლების ალბათობასაც კი გამორიცხავს.

### მწეველებს – ჯიბის საფერფლეები



8,5 მილიონი დოლარი „იშოვა“ წლის განმავლობაში სეულის მერიამ ქუჩებში დაგდებული სიგარეტის ნამწვავების დაგდებისთვის გამოწერილი ჯარიმების სახით. დამრღვევთა შორის აღმოჩნდა 200 ათასი კაცი, რომელთაგან თითოეულმა 42 დოლარი გადაიხადა. სამხრეთ კორეის დედაქალაქის ქუჩების სისუფთავისთვის სხვა მეთოდებითაც იბრძვიან: ადგილობრივ მცხოვრებლებს – 25 ათასი ჯიბის საფერფლე დაურიგეს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

## ეპიგრამები



სოროსკიპოს ნაკმარალი ქალბატონი
დირექტორთა დირექტორის გახდა ტოლი
და გრძელ ენას უშნოდ ატარტარებს.
ნუ აიკლო ლანძღვით ზეცის კაბადონი,
ურჩევნია, ჩაიწიოს დაბლა... ტონი,
თორემ დღესვე ავუჭედავ კარებს.
...კიდევ დავემუქრებოდი, მარა
სადღეისოდ, მე მგონია, კმარა!..

* * *



ეგებ ნათქვამი არ ჩანს ლამაზი,
გამინაწყენდეს ეგებ ხაბაზი,
ოღონდ რა ვქნა, რომ სადეპუტატო
მაგისი ფასი არის აბაზი...

* * *



პოლიტსცენაზე ცეკვავს და როკავს,
მეფისგან ნატყორცნ ფრაზებსაც ლოკავს.
დროა, რომ ვუთხრა კოტეს ძე გოკას:
წყალი ყოველთვის არ მოაქვს კოკას...

**ალი ყურაშვილი**

## ინფორმაცია

# ზოოპარკი თბილისის ზღვასთან გადავა

**ზოოპარკი შესაძლოა თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განთავსდეს. ამის შესახებ ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერმა ნინო ჭაჭიამ განაცხადა.**

მისი თქმით, ადმინისტრაციას ზოოპარკისათვის ცხოველების შეძენა სურს, მაგრამ ტერიტორიის სიმცირის გამო ვერ ახერხებს. ჭაჭიას განცხადებით, აღნიშნული საკითხის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მერია სექტემბერში მიიღებს.

მისივე თქმით, ამ საკითხზე მერია აქტიურად მუშაობს და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ტენდერი გამოცხადდება.



რაც შეეხება ზოოპარკის ტერიტორიას, ის მწვანე ზონად დარჩება და აღნიშნულ ადგილზე რაიმე სამშენებლო სამუშაოები არ იწარმოებს.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

## კადრი



## ანეკდოტები

– შენი ორგანიზმი ნორმალურად რეაგირებს კრაზანის კბენაზე?
– არა, მაშინვე დედის გინებას იწყებს!

* * *

თუკი პოლიციის სკოლები არსებობს, რატომ არ არის საბავშვო ბაღებიც?

* * *

– სიდედრს არასოდეს ვეჩხუბები!
– რატომ, გერევა?

* * *

განცხადება: სასწრაფოდ! ქვეყანა ეძებს პოლიტიკურ თავშესაფარს!

* * *



მიხო იმდენხანს უყურებდა ტელევიზორს, რომ დიქტორები უკვე ცნობენ.

* * *

– პროფესორო, მართალია, რომ თქვენ ცოლს სცემთ?
– არა, არ არის მართალი, მე არა ვარ პროფესორი!

* * *

ერთი ქალი ეუბნება მეორეს:
– იცი, ისევ ცუდად ვგრძნობ თავს, რაღაც მაკლია!
– რატომ, შენ ხომ კარგი ქმარი გყავს და უკეთესი საყვარელიც?
– ორივე დასწყევლოს ღმერთმა! სულ ერთმანეთის იმედი აქვთ!

* * *

პირველი პაემანის დროს მორიდებული ბიჭი ეკითხება ქალიშვილს:
– ნუ დამიმალავ, ჩემამდე ბიჭები გყავდა?
– ბიჭები არა, ორი გოგონა მყავს, ახლა ისინი დედაჩემთან არიან!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
99-62-77; 899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.